# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 4–5 (373–374) 2024 წელი


















ცოდნიერებით მომავლისკენ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

# გაიცანი შენი უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია 1918 წლის 17 ივნისს იწყება, როდესაც რამდენიმე თვით ადრე დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის (კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი) პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით გაიხსნა სამკურნალო ფაკულტეტი. 1930 წლის 10 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებლად არსებობის ისტორია საუკუნეს უახლოვდება, მისი აკადემიური ისტორია კი უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის და საქართველოში სამედიცინო განათლების საძირკველს წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა თავი, როგორც ცოდნისა და კვლევის მაღალი აკადემიური ხარისხის, დემოკრატიული მმართველობის, გამჭვირვალე მენეჯმენტისა და აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობისადმი ურყევი ერთგულების მქონე ინსტიტუციამ. სწორედ ეს ძირითადი პრინციპები უზრუნველყოფს სწრაფად განვითარებადი სამედიცინო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, მუდმივ სწრაფვას სრულყოფისკენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ არჩეული განვითარების კურსი, უკვე არსებული შედეგების გათვალისწინებით, ცხადყოფს, რომ ეს გზა ოპტიმალურად შეესაბამება იმ მიზნებს, რაც განვითარებულ ქვეყნებში აღიარებული განათლების მაღალი სტანდარტის მისაღწევადაა დასახული.

საამაყო და ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია, რომ:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციისა და მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტებზე ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული (ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროგრამები.
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელია. ეს დასტურია იმისა, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში.
- 2019 წლის მაისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის – AMEE-ის წარმომადგენლობა საქართველოში – AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. სადღეისოდ მსოფლიოში AMEE-ის სულ ორი რეგიონული წარმომადგენლობაა და ერთ-ერთი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შერჩეული იქნა AMEE-სთან აქტიური თანამშრომლობის, სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვის, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში წარმატებული მონაწილეობის გათვალისწინებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და საუნივერსიტეტო კლინიკებთან, რომლებთანაც ურთიერთობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან მემორანდუმებით, ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON Europe და სხვა). უნივერსიტეტი არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი; ყოველწლიურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მეცნიერები და ექიმები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წლებია ფუნქციონირებს ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საერთაშორისოდ აპრობირებული საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე შესწავლის საშუალებას იძლევა:

- ✓ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan (საფრანგეთი). პროგრამის დასრულების შემდეგ ორი (ქართული და ფრანგული) დიპლომი გაიცემა.
- ✓ ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველწლიურად იწვევს პროფესორებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების, საჩვენებელი ოპერაციებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად იზრდება საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი. დღესდღეობით თსსუ-ში 84 ქვეყნის 3500-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან კლინიკებში მუშაობენ და საუკეთესო ავტორიტეტით სარგებლობენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუდმივად მზარდი საგანმანათლებლო და სამეცნიერო შესაძლებლობები, კვლევითი რესურსები ასახვას პოვებს მკვლევართა შრომებში. თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყოველთვის ექცევა საერთაშორისო პარტნიორების ყურადღების არეალში.

თსსუ-ს აქვს საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები: თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი და თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი, სადაც საერთაშორისო დონის კვლევები ტარდება. სასიხარულოა, რომ თსსუ-ის აკადემიური პერსონალი, მკვლევრების და მეცნიერი თანამშრომლების ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების მაღალ შეფასებას იმსახურებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფლობს მძლავრ კლინიკურ და კვლევით ბაზებს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა, თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი. ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტები თსსუ-ის სხვადასხვა, პარტნიორ თუ აფილირებულ კლინიკაში ფუნქციონირებს. კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებულია თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტები. აღსანიშნავია კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც განთავსდა თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტები.

მნიშვნელოვანი პროექტია თსსუ-ის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია, რომელიც წლებია, ფუნქციონირებს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის სივრცეში. 2024 წლის 26 მარტს კი გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის საბურთალოს ფილიალი. თსსუ-ის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია ერთობ მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ემორის უნივერსიტეტისა და თსსუ-ის თანამშრომლობით ხორციელდება. აკადემია სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს ეხმარება სოციალურ გარემოში ინტეგრაციისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. თსსუ-ის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია წლებია, ფუნქციონირებს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის სივრცეში, რაც ასევე, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

- ✓ დაწყებულია ახალი, მრავალფუნქციური შენობის (ფართობი: არანაკლებ 12000 კვ.მ.) სამშენებლო პროცესი ზ. ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) ქუჩაზე. მასში განთავსდება უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სივრცეები: ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, სივრცე აკადემიური საქმიანობისათვის, აფთიაქი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის სასწავლო და საგამოცდო ცენტრი, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისთვის OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური საგამოცდო ორი ცენტრი - თითოეული 20 სადგურზე.
- ✓ ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების საკუთარ ბაზაზე განსათავსებლად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის მოწყობის მიზნით. კლინიკის მშენებლობა (არანაკლებ 6000 კვ.მ. ფართობის) სარაჯიშვილის ქუჩაზე, N14-ში უკვე მიმდინარეობს.
- ✓ გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის (არანაკლებ 800 სტუდენტზე) მშენებლობასთან დაკავშირებით; საერთო საცხოვრებლის სამშენებლო პროცესი უზნაძის ქუჩაზე, N 14-ში უკვე დაწყებულია.

ზემოთ აღნიშნული ყველა მშენებლობის დასრულება 2025 წელს იგეგმება.

მეტად მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში, რაც ნათლად დაადასტურა კოვიდპანდემიამაც. პანდემიის წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკები, მათი ექიმები, თსსუ-ის სტუდენტები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად, დაუღალავად იდგნენ „წინა ხაზზე“ უხილავ მტერთან ბრძოლაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი არსით, მიზნებითა და ფუნქციით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია ქვეყნისთვის. თსსუ-ის სტუდენტებს, რეზიდენტებსა და თანამშრომლებს, კურსდამთავრებულებს, თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კლინიკების თითოეულ წარმომადგენელს აქვს და ექნება პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

**პროფესორი ირაკლი ნატროშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო**
**უნივერსიტეტის რექტორი**

## გაიცანი შენი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტში, ისე, მის გარეთ. მისი მიზანია, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტთა უფლებები, კანონიერი ინტერესები და ხელი შეუწყოს მათ რეალიზებას, დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, შეუქმნას ოპტიმალური პირობები დასვენების, შრომითი საქმიანობის თუ სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება; შესაბამისად, გუნდი გეგმავს და ახორციელებს შემეცნებით-საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ პროექტები ტარდება სტუდენტთა მოთხოვნების მიხედვით, რომელთაც საშუალება ეძლევათ, არა მარტო მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ ღონისძიებაში, არამედ, სურვილის შემთხვევაში, თავად განახორციელონ ნებისმიერი პროექტი.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდისთვის პრიორიტეტულია სოციალური და შემეცნებითი პროექტები, რომლის ფარგლებშიც, არაერთ სტუდენტს დაუფინანსდა




სწავლის საფასური, ასევე, უფასო კლინიკური მომსახურების მიღების საშუალებაც მიეცა.

სტუდენტური პროექტები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ საქმიანობას, რაც სტუდენტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქველმოქმედო ფონდებთან და ამ ურთიერთთანამშრომლობით ყველაზე მასშტაბური და დაუვიწყარი პროექტები ხორციელდება.

სტუდენტური თვითმმართველობა დიდი გამოცდილების მიღების, მნიშვნელოვანი ურთიერთობების და უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, რაც მათ ეხმარება საკუთარი თავის რეალიზებასა თუ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანად ქცევაში.

თვითმმართველობის გუნდი სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობას სთავაზობს, ცდილობს, მათი ყოველდღიური რუტინული ცხოვრება საინტერესო და დასამახსოვრებელი გახადოს და ისინი გუნდის ღირსეულ წევრებად აქციოს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, თსსუ, ზედიზედ ორჯერ, ,,სტუდენტური ფესტივალის“ გამარჯვებული გახდა, რაც სტუდენტთა ერთიანი ძალისხმევის შედეგია. იმედია, ასეთივე ერთსულოვნებით არაერთი გამარჯვების მიღწევას შევძლებთ.

აღსანიშნავია, რომ დღეს სტუდენტური თვითმმართველობა არამარტო შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნა-ჩამოყალიბებაზე ზრუნავს, არამედ საზოგადოების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის პრობლემების მოგვარებაზეც აკეთებს აქცენტს, რისი ნათელი მაგალითიცაა მისი წვლილი სისხლის უანგარო დონაციის განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ახალგაზრდებს, მართლაც, საინტერესო და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას ჰპირდება.

გაიცანი

# მედიცინის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეული და აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ტრადიციულად, მედიცინის ფაკულტეტზე, ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი აკეთებს არჩევანს. ექიმობის მსურველებს საშუალება აქვთ, მიიღონ საერთაშორისო კლასის განათლება, რაც მათ გზას უხსნის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიპლომისშემდგომი განათლების მისაღებად და სამუშაოდ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ახალგაზრდების გადაწყვეტილებას ამ ურთულესი, მაგრამ, ამასთანავე, მეტად ჰუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევის გამო. მედიცინის ფაკულტეტი ითვალისწინებს მათ გულწრფელ სურვილს – ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით გააუმჯობესონ ადამიანთა ცხოვრება და მოუწოდებს მათ, გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს, არ დაზოგონ დრო და ენერგია სასურველი მიზნის მისაღწევად.

ჩვენთან ყველაფერი თავად სტუდენტზეა დამოკიდებული. მათთვის, ვისაც ნამდვილად სურს, მომავალი დაუკავშიროს მედიცინას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი საუკეთესო არჩევანია!

მედიცინის ფაკულტეტის ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, მკვლევრები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა შესაძლებლობების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლენას როგორც დიპლომამდელ, ასევე, დიპლომისშემდგომი განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში.

ჩვენი მიზანია სტუდენტთა სწავლების ხარისხის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.

მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება ორი პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (სწავლების ენა – ქართული) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (სწავლების ენა – ინგლისური).

დიპლომამდელი სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. სასწავლო პროგრამების მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე ექიმები, რომლებსაც აქვთ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. კურსდამთავრებულები მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო კადრი მზადდება ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი შეიძლება დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც მუშაობს ექიმი სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ან სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში.

რეზიდენტურის დასრულების შემდეგ, ის ხდება ექიმი სპეციალისტი: თერაპევტი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, გინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, ფსიქიატრი და სხვ.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ, მას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი მედიცინაში.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.



დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს, რომელსაც ჩაბარებული ექნება ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები, შეუძლია, დიპლომისშემდგომი განათლება მიიღოს და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ (აშშ. და სხვ).

ექიმობა არის რთული და, ამასთანავე, პრესტიჟული პროფესია. ექიმი სწავლობს მთელი ცხოვრების მანძილზე, რათა პრაქტიკული საქმიანობა აწარმოოს სამედიცინო სფეროში განხორციელებული ახალი მიღწევების გამოყენებით.

ფაკულტეტზე, დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2021 წელს დიპლომირებული მედიკოსისა (სწავლების ენა – ქართული) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულმა (სწავლების ენა – ინგლისური) პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია 7-წლიანი ვადით. განახლებულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ინტეგრირებული კურიკულუმით. წარმოდგენილ კურიკულუმში განსაკუთრებით საყურადღებოა სასწავლო დისციპლინებს შორის „ჰორიზონტალური" და „ვერტიკალური" ინტეგრაციის გაღრმავება. დისციპლინების სწავლება, უმეტესწილად, ჩანაცვლებულია პრობლემების სწავლებით. კლინიკური სწავლება იწყება პროგრამის პირველი სემესტრიდანვე, ბიოსამედიცინო მეცნიერებების სწავლება კი პროგრამის დასრულებამდე გრძელდება.

დაიხვეწა სწავლებისა და შეფასების მეთოდიკა. სწავლების მეთოდებიდან დიდი ყურადღება ექცევა შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას – სტრუქტურირებული შემთხვევის განხილვას, იშვიათი შემთხვევის განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კურსის სწავლებისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრობლემის კლინიკური ასპექტების განხილვას, ხოლო კლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტი კვლავ უბრუნდება და ახალ ასპექტში განიხილავს ფუნდამენტურ საგნებში ნასწავლ საკითხებს.

სწავლების პროცესში დიდი ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, რაშიც სტუდენტებს ხელს უწყობს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. აქ ექიმისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია სწავლების პირველი დღეებიდანვე ყალიბდება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აუცილებელ ნაწილად იქცა სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლება. უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც ამ უნარ-ჩვევების სწავლება და მონიტორირებაა. სწავლების II წლის პროგრამას დაემატა სავალდებულო საგანი – ,,სამეცნიერო კვლევის საფუძვლები". აღნიშნული საგნის სწავლებით სტუდენტი იძენს ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა: საკითხის სწორად დაყენება, საძიებო სისტემების გამოყენება, მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება, სტატიის კრიტიკული ანალიზი, მომავალი კვლევის სწორი დაგეგმვა. დიდი ყურადღება ექცევა დაინტერესებული და მოტივირებული სტუდენტების ჩართვას დეპარტამენტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში.

ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტთან ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შემოერთებამ. მეცნიერები აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტთა სწავლების პროცესში, სტუდენტებს კი სამეცნიერო პროექტების განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ორჯერ აღიარა როგორც წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება მედიცინის დარგში.

მედიცინის ფაკულტეტზე დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე, ობიექტური მეთოდები. შეფასების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გამჭვირვალე გახდა. უნივერსიტეტში ფუნქციობს სრულად კომპიუტერიზებული საგამოცდო ცენტრი. დაიხვეწა და დიდი ყურადღება ეთმობა მომავალი ექიმის უნარ-ჩვევების შეფასებას. მთელ რიგ დისციპლინებში მომავალი ექიმების ცოდნა უკვე მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის მიხედვითაც ფასდება. 2008-2009 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა კლინიკური გამოცდა პროპედევტიკაში. მეანობა-გინეკოლოგიაში, პედიატრიასა და შინაგან მედიცინაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საშუალებით. 2021-2022 სასწავლო წელს, სტუდენტთა ცოდნის შეფასებისთვის კიდევ ერთი ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დაინერგა მე-6 სემესტრის მოდულში – „პაციენტთა სუბიექტური და ობიექტური გამოკვლევა 4; კლინიკური აზროვნების ინტეგრაციული კურსი". ამ ტიპის გამოცდა, სტუდენტის სხვა კლინიკური უნარების შეფასებასთან ერთად, მისი კომუნიკაბელობის, გუნდში მუშაობის და მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის შეფასებასაც მოიცავს.

სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ფაკულტეტს დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებმა და პროექტებმა, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან უცხოელი პროფესორები.

ამდენად, ფაკულტეტის მიზანია, მომავალი ექიმების სწავლება ეფუძნებოდეს მეცნიერებას, სწავლების სტრატეგიად კი არჩეულია სწავლება ინტეგრირებული პროგრამით.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტს საშუალება აქვს, გაიაროს სტაჟირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკაში.

უკანასკნელ წლებში ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო სკოლების პროფესორები. ისინი კითხულობენ ლექციებს სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, ატარებენ სამედიცინო კონსულტაციებს, ოპერაციებს, თსსუ-ის პროფესორებთან ერთად ახორციელებენ სამეცნიერო პროექტებს.

ფაკულტეტს სამომავლოდაც დიდი მიზნები აქვს, რომელთა განხორციელება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სისხლხორცეული საქმეა. იმედია, ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ჯანდაცვის გაუმჯობესება 21-ე საუკუნეში.

## დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 250

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 75%+1 | 2 | |
| უცხოური ენა | 80%+1 | 2 | |
| ბიოლოგია | 75%+1 | 4 | |
| ქიმია | 75%+1 | 4 | 100 |
| ფიზიკა | 75%+1 | 4 | 75 |
| მათემატიკა | 75%+1 | 4 | 75 |







# გაიცანი დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, როგორც წარმატებული საერთაშორისო პარტნიორობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, 2013 წლიდან არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო განათლების სფეროში მისი სპეციფიკურობიდან და მოკლე დროში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე. საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, პროგრამაზე სწავლობენ სტუდენტები მსოფლიოს 25 ქვეყნიდან, მათ შორის: აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან და ა.შ. დღეისათვის პროგრამაზე 406 აქტიური სტუდენტია.

თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის თანამშრომლობას დიდი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობის სათავეში ემორის მედიცინის სკოლის პროფესორი, თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი იდგა. პროგრამის შემუშავება რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული და ამერიკული მხარეების ინტენსიური მუშაობის ფონზე. პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების ყველა ეტაპზე ემორის მედიცინის სკოლა აქტიურად არის ჩართული: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანი ვიზიტით ხშირად იმყოფებიან ემორის უნივერსიტეტის პროფესორები: გორდონ ჩერჩვორდი, მერი ჯო ლეკოვიჩი, ჯოელ ფელნერი, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, თსსუ-ის პროფესორი არჩილ უნდილაშვილი.

- თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ქვეყნის ძირითად მოთხოვნებს სამედიცინო განათლების სფეროში.
- თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სწავლება ინგლისურ ენაზე ხორციელდება, რაც კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს საერთაშორისო ასპარეზზე.

### USMLE – აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდა

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას საფუძვლად დაედო ემორის მედიცინის სკოლის მოდერნიზებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოდიფიცირდა ევროპული და ლოკალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამა იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებმა სწავლის პროცესშივე შეძლონ, ჩააბარონ ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (ე. წ. USMLE) ორი საფეხური დამატებითი დროის, სახსრებისა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სალიცენზიო გამოცდების ჩაბარება არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუმცა, USMLE-ის გამოცდების შინაარსის, სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით, მისი ჩაბარების მაჩვენებელი პროგრამის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებში თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების მიღწეული შედეგები - კლინიკურ საფეხურზე მყოფი სტუდენტების 1/3-ზე მეტს წარმატებით აქვს ჩაბარებული ეს გამოცდები. ასეთი წარმატებული შედეგი უკვე დაეხმარა ჩვენს კურსდამთავრებულებს, პროგრამის დასრულებისთანავე, არჩეული სპეციალობით აშშ-ის წამყვან კლინიკებში გაეგრძელებინათ რეზიდენტურაში სწავლა.



### სასწავლო კურსი – „გახდი ექიმი“

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სასწავლო კურსი – ,,გახდი ექიმი“ (BAD / Becoming a Doctor), რომელიც სტუდენტის კლინიკური უნარების, ეთიკური და პროფესიული დამოკიდებულებების მუდმივ განვითარებას უზრუნველყოფს. კურსი იწყება სწავლის პირველსავე დღეებში და გრძელდება მთელი პროგრამის განმავლობაში. „გახდი ექიმი“ გიდის ფუნქციას ასრულებს ექიმობისკენ მიმავალ გზაზე. ეს სწორედ ის კურსია, რომელიც ეხმარება სტუდენტებს, იპოვონ, განავითარონ და აღიჭურვონ იმ პერსონალური და პროფესიული თვისებებით, რაც ექიმის პროფესიისთვისაა საჭირო.

აღნიშნული კურსის ფარგლებში, პირველივე სემესტრიდან, სტუდენტები იწყებენ და შემდეგ თანდათან აძლიერებენ ისეთი საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისებას, როგორიცაა: ანამნეზის შეკრება, პაციენტის ფიზიკური გასინჯვა, მიღებული შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და დოკუმენტირება, კომუნიკაცია პაციენტის ახლობლებთან, კოლეგებთან და სხვა.

ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტები ითვისებენ პირველადი დახმარების გაწევის უნარებს, ტრავმის მართვის საწყისებს, სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების უნარებს, აცნობიერებენ ექიმის პროფესიაში ეთიკური საკითხების მნიშვნელობას, ზრუნავენ ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, როგორიცაა: დროის მართვა, თვითმოტივაციის, მიზანდასახულობის და სხვა უნარების განვითარება. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიონალიზმის განვითარებაზე ზრუნვას.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხების მაქსიმალურად სწორად განხორციელებაში ამერიკული მხარე უშუალოდ არის ჩართული. გარდა ამისა, „გახდი ექიმის“ ფარგლებში, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამასთან თანამშრომლობენ აშშ-ის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მოღვაწე ქართველი ექიმებიც, რომლებიც საგანგებოდ ატარებენ ტრენინგებს პროგრამის სტუდენტებისთვის.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში სტუდენტის მოსამზადებლად აქტიურად გამოიყენება სიმულაციური სწავლება პაციენტის როლში მყოფი მსახიობების მონაწილეობით.

### მცირე ჯგუფის კოორდინატორი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემის არსებობას: თითოეულ ჯგუფს (რომელიც 10-12 სტუდენტისგან არის დაკომპლექტებული) ჰყავს მცირე ჯგუფის მრჩეველი - მენტორი, კოორდინატორი, რომელიც სტუდენტს სწავლების სრული კურსის განმავლობაში ეხმარება აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, უწევს კონსულტაციებს კარიერული განვითარების საკითხებზე და სხვა.

### კარიერული წინსვლა

პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია სტუდენტთა კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, რაც მოიცავს მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, გაზიარებას, ასევე, რეზიდენტურისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ინტერვიუს პროცესისთვის მომზადებას. სწავლების ამ კომპონენტში ძალზე აქტიურად არიან ჩართულნი თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კოლეგები აშშ-დან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სტუდენტთან ამ მიმართულებით.

### კლინიკური სწავლება აშშ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტს, რომელსაც სწავლის პროცესში ჩაბარებული აქვს აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველი საფეხური, შეუძლია კლინიკური როტაციების გარკვეული ნაწილი გაიაროს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში. კლერკშიფის მიზანია, მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მისი ინტერესის სფეროს მიხედვით გაიღრმაოს ცოდნა და უფრო მეტად განავითაროს კლინიკური უნარ-ჩვევები. უკვე მეექვსე წელია, პროგრამის სტუდენტები წარმატებით გადიან კლინიკურ სწავლებას ემორის მედიცინის სკოლაში.

### „თეთრი ხალათების ცერემონია“

ნებისმიერ ადამიანს ახსოვს თავისი სტუდენტობის პირველი და ბოლო დღე. პროგრამა ცდილობს, სტუდენტებისთვის, ასევე, მათი მშობლებისა და ახლობლებისთვის ორივე დღე განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყოს: ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს ყოველწლიურად თეთრი ხალათების გრანდიოზული ცერემონია ელით. „თეთრი ხალათების ცერემონია“ და გამოსაშვები ღონისძიება ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში დამკვიდრებული სტილით ხორციელდება.

„თეთრი ხალათების ცერემონიას“, ტრადიციულად, თსსუ-ის რექტორი ხსნის. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებას, საპატიო სტუმრებთან ერთად, საქართველოში ამ ღონისძიებისთვის ვიზიტით მყოფი ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორები ულოცავენ.

### გამოსაშვები ღონისძიება

გამოსაშვები ღონისძიებისას უმნიშვნელოვანესი როლი საგანგებო, თავის კარიერაში წარმატებულ და სამაგალითო, ყველასთვის კარგად ცნობილ სტუმარს ენიჭება, რომელიც წარმატების მისეულ საიდუმლოს კურსდამთავრებულებს უზიარებს. გამოსაშვები ღონისძიება 2019 წლიდან იქცა ტრადიციად და ის ყოველ წელს პომპეზურად გააცილებს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულებს.

### საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ყოველწლიურად ერთიანი ეროვნული გამოცდებით პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა 20-ია.

**დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა**

**მისაღები კონტინგენტი – 20**

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 75%+1 | 2 | |
| უცხოური ენა (ინგლისური) | 85%+1 | 2 | |
| ბიოლოგია | 75%+1 | 4 | |
| არჩევითი | | | |
| ქიმია | 75%+1 | 4 | 8 |
| ფიზიკა | 75%+1 | 4 | 6 |
| მათემატიკა | 75%+1 | 4 | 6 |

# გაიცანი მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმზიდველია მსოფლიოს 84 ქვეყნის 3500-ზე მეტი ახალგაზრდისთვის. ეს რიცხვი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ კომპეტენცია და სწავლების ხარისხი აქ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, თსსუ-ის კურსდამთავრებულები კი სათანადოდ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, ორი ათეული წელიც კი არ იყო საჭირო იმისთვის, რომ უცხოურენოვანი ფაკულტეტი ასეთი წარმატებით განვითარებულიყო. ისტორიაში მცირე ექსკურსი გაცილებით უკეთ მოახდენს ნათქვამის დადასტურებას: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი სამკურნალო ფაკულტეტი გაიხსნა 1996 წელს. ფაკულტეტის სრული კურსი (პირველი გამოშვება) 2002 წელს დაამთავრა 25-მა საერთაშორისო სტუდენტმა. 2006 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა, ამიტომაც, აკადემიური პროცესის მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თავდაპირველად შეიქმნა მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი სექტორი, ხოლო 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტი. 2018 წელს, პირველად საქართველოს მასშტაბით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი ფაკულტეტი – მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელიც ერთ წელიწადში მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტად გადაკეთდა. ეს, ცხადია, განპირობებული იყო უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით დიდი დაინტერესებით, რასაც სწავლის მაღალი სტანდარტი განაპირობებს.

უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის მთავა-



რი მისია იყო საერთაშორისო სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, სამედიცინო საგანმანათლებლო სფეროში მოწინავე პოზიციების გაძლიერება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. საერთაშორისო სტუდენტებისთვის მაქსიმალურად მეგობრული გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის პროფესიონალების ჩართულობით წარმართვა უპირობო ვალდებულებაა. საერთაშორისო სტუდენტები ამომწურავად იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას სწავლის პროცესთან დაკავშირებით.

მაქსიმალური ზრუნვა სწავლების მაღალ ხარისხზე, ცხადია, უკვალოდ არ ქრება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის, რისი დასტურიცაა სწავლის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი მატება.

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მიზანი, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ორიენტირებულია მაქსიმალურ შედეგზე – საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდაზე. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება; ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებითა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებით; ფუნდამენტური, პრეკლინიკური და კლინიკური დეპარტამენტების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის კოორდინაცია; ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისი შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის პროგრამებისა და კურიკულუმების შემუშავება, დანერგვა და განვითარება; საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან კოოპერაცია და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება – ეს ყველაფერი განაპირობებს მაღალ შედეგს... ამისი ლოგიკური გაგრძელებაა, რომ ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMC- Educational Commission For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საუკეთესო პლაცდარმია ნებისმიერი მოტივირებული ახალგაზრდისთვის მომავალი წარმატებული კარიერის შესაქმნელად.

# გაიცანი სტომატოლოგიის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი ჩვენს ქვეყანაში მაღალკვალიფიციური აკადემიური და საექიმო კადრის ზრდის ტრადიციული, პოპულარული და წარმატებული სამჭედლოა. ამის უტყუარი დასტურია ფაკულტეტის პროფესურის მაღალი პროფესიული და სამეცნიერო რეპუტაცია, სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის მსურველი ახალგაზრდების რაოდენობის განუხრელი ზრდა, ჩვენი კურსდამთავრებულების მაღალი რეიტინგი, პოტენციური დამსაქმებლების დიდი პროფესიული ინტერესი და ნდობა მათდამი.



უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესის გამდიდრებამ ინოვაციური მეთოდოლოგიებით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ განხორციელებულმა ინიციატივებმა ევროპულ სამედიცინო განათლებასთან ჰარმონიზების მიმართულებით, ძირეულად შეცვალა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კონცეფცია, სახელდობრ, შექმნა წინაპირობა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დანერგვისათვის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, კერძოდ, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, სადაც OSCE 2009 წლიდან ტარდება.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაში დეკლარირებული მიზნების, ამოცანებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, პროგრამის კურიკულუმი აგებულია ე.წ. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების თანმიმდევრული, პრერეკვიზიტული ჯაჭვის სახით. ამავე დროს, სტუდენტები აკადემიური პროცესის აქტიური მონაწილენი არიან, რამეთუ სწორედ ესაა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განმსაზღვრელი არსი. სტუდენტები ფანტომებზე ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მონაწილეობენ კლინიკური შემთხვევების განხილვაში, ესწრებიან ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ამუშავებენ რეფერატებს და პრეზენტაციებს და საგანმანათლებლო სერვისის ამ ასორტიმენტში ისინი თავისუფალნი არიან პრიორიტეტების არჩევანში, ცხადია, დეკლარირებული კურიკულუმის ფარგლებში. მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ მუშაობაში საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე; აქ მათ აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიღებული ცოდნის განმტკიცების პარალელურად, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ჩაერთონ პაციენტთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, სრულყონ პაციენტთან დამოკიდებულების და კომუნიკაციის უნარები.

უნივერსიტეტში ეფექტურ პრაქტიკად იქცა დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (ელექტრონული ფორმით). ამგვარი უკუკავშირი უალტერნატივოა პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შეფასებისათვის.

ამ ტიპის კვლევის შედეგების ანალიზი კი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დამუშავებული და გაანალიზებული, საფუძვლად ედება სათანადო რეკომენდაციებს პროგრამ(ებ)ის განვითარების თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მას გააჩნია დამოუკიდებელი საექიმო აზროვნების უნარი. ამ მიზნის განსახორციელებლად ინტენსიური პრაქტიკა ეფუძნება ღრმა თეორიულ ცოდნას, რაც მიიღწევა, ერთი მხრივ, ლექციებისა და სემინარების დახმარებით, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკული მეცადინეობის დროს საფანტომო კურსის დახვეწით და პედაგოგის მიერ პაციენტის სტუდენტისათვის არა მარტო დემონსტრირებით (რაც, თავისთავად, ღირებულია), არამედ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სტუდენტის მაქსიმალურად ჩართვის ფორმით, ცხადია, იმ ფორმატით, რის უფლებასაც შესაბამისი კანონმდებლობა იძლევა.

უმნიშვნელოვანესია კლინიკური დისციპლინების სწავლება. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკები და ასეულზე მეტი აფილირებული კლინიკა. ამასთან ერთად, ა.ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში არსებობს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ფანტომებზე აითვისონ ესა თუ ის კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა. შესაძლებელია ამ „აკადემიური ფუფუნების“ უფრო რაციონალური და ეფექტური გამოყენება.

თსსუ-ის სტუდენტები და პროფესორები აქტიურად არიან ჩართულნი გაცვლით პროგრამებში. აღნიშნულ პროგრამებში ჩართული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ინდივიდური სასწავლო გეგმა, რაც აუცილებელია სხვა სამედიცინო სკოლაში გავლილი სასწავლო პროგრამის აღიარებისათვის. სტუდენტები მონაწილეობენ ზამთრის და ზაფხულის სტაჟირების პროგრამებში საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში.

ჩვენი მიზანია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს ღირსეული მოქალაქე, კონკურენტუნარიანი, მუდამ ახლის ძიებასა და განვითარებაზე ორიენტირებული, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი და ემპათიით გამსჭვალული სპეციალისტი, რომელიც სრულყოფილად ფლობს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სტომატოლოგიაში; ეს ყოველივე კი, საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარია.

## დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი –110

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნების მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 65%+1 | 2 | |
| უცხოური ენა | 70%+1 | 2 | |
| ბიოლოგია | 65%+1 | 4 | |
| ქიმია | 65%+1 | 4 | 44 |
| ფიზიკა | 55%+1 | 4 | 33 |
| მათემატიკა | 55%+1 | 4 | 33 |














გაიცანი

# ფარმაციის ფაკულტეტი

ფარმაცია დინამიკური და სწრაფადგანვითარებადი დარგია. ფარმაცევტული მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტიანი, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. ფარმაციის ძირითადი პროდუქტი წამალია, რომლის შემუშავებას, შესწავლას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, რეალიზაციას და მომხმარებლისთვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას, ძირითადად, ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი — ფარმაცევტი.



ფარმაციის ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია: პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების — ბაკალავრების მომზადება; სამეცნიერო კვლევაზე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების — მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამები; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა.

### ფარმაციის ფაკულტეტის აკადემიური პროგრამებია:

- **საბაკალავრო**
  სწავლების ვადა — 4 წელი, 240 ECTS კრედიტი
- **სამაგისტრო**
  სწავლების ვადა — 2 წელი, 120 ECTS კრედიტი
- **სადოქტორო**
  სწავლების ვადა — 3 წელი, 180 ECTS კრედიტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაციის ფაკულტეტი ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბაკალავრო განათლება ფარმაციაში ეფუძნება მრავალპროფილიან სწავლებას. მისი მიზანია სტუდენტისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას, ანუ სათანადო ფარმაცევტულ პრაქტიკას. სასწავლო გეგმაში ასახულია ე.წ. თავისუფალი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კურიკულუმი შედგენილია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით:



საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პრაქტიკულ კურსებს (ლაბორატორიული მეცადინეობები, საველე, საწარმოო, სასწავლო პრაქტიკები და ა.შ.).

სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას შეუძლია, იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტები გადიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ფარმაცევტულ საწარმოებში, აფთიაქებში, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის და სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

ფარმაციის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან:

- ლიეჟის უნივერსიტეტი, ბელგია;
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი;
- კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტი, კანადა;
- მარსელის უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
- ტულუზის პოლ საბატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
- ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია.

### ფაკულტეტზე მოქმედებს ოთხი სამაგისტრო პროგრამა:

- ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები;
- ფარმაცევტული ანალიზი;
- ფარმაციის მენეჯმენტი;
- კლინიკური ფარმაცია.

### ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ფარმაცევტული, პარფიუმერულ-კოსმეტიკური საწარმოებისთვის, აფთიაქებისთვის, კოსმეტოლოგიური „სპა" და ესთეტიკური ცენტრებისთვის კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ფარმაცევტული, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნედლეულის გადამუშავების, უსაფრთხო, ხარისხიანი და ეფექტიანი ფარმაცევტული, კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის შემუშავების, დამზადებისა და სერიული წარმოების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ; შეძლებს დამოუკიდებლად მათ დამზადებას, სერიულ წარმოებას, საწარმოო პროცესების მართვას კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) პრინციპების დაცვით; მომხმარებლისთვის (კანის ნორმისა და პათოლოგიის დროს) უსაფრთხო და ეფექტიანი სამკურნალო და პროფილაქტიკური ნაწარმის შერჩევას კანის ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

### ფარმაცევტული ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტ-ანალიტიკოსის მომზადება, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, GMP, ISO-ს მოთხოვნებს, იხელმძღვანელებს GLP-ის პრინციპებით და შეძლებს:

- მოსახლეობის უზრუნველყოფას ხარისხიანი, ეფექტიანი, უსაფრთხო ბუნებრივი და სინთეზური სამკურნალო საშუალებებით, წამლის ფორმებით და სხვა ფარმაცევტული პროდუქტით;
- ქმედითი ღონისძიებების გატარებას ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის განხორციელების გზით;
- რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროგნოზირებას წამალთა ეკვივალენტობის და ფარმაკოკინეტიკური პარამეტრების განსაზღვრის საფუძველზე.

### ფარმაციის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ფარმაკოეკონომიკის შესახებ, შეძლებს ფარმაცევტულ საქმიანობაში ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაციის (FIP) რეკომენდაციების შესაბამისად.

### კლინიკური ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ჩაერთოს რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროცესში, სამკურნალო საშუალებების ფორმის, დოზის, დადებითი, უარყოფითი და გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით; ექიმებსა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებს მიაწოდოს უახლესი და ამომწურავი ინფორმაცია სამკურნალო საშუალებების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის შესახებ; მონაწილეობა მიიღოს კლინიკური კვლევების განხორციელებაში.

**ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა**

**მისაღები კონტინგენტი –150**

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 25%+1 | 2 | |
| უცხოური ენა | 20%+1 | 2 | |
| ბიოლოგია | 25%+1 | 4 | |
| ქიმია | 25%+1 | 4 | 60 |
| ფიზიკა | 25%+1 | 4 | 45 |
| მათემატიკა | 20%+1 | 4 | 45 |







## გაიცანი

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი

ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნის, სურსათის უვნებლობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებს, რაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ღონისძიებებს გულისხმობს, როგორიცაა: გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი, სურსათის უსაფრთხოების, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ინტერვენციები, რომლის მთავარი მიზანი არა მხოლოდ პრევენციული და სამკურნალო სერვისებით უზრუნველყოფაა, არამედ ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტირებაც.



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი ახორციელებს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ფაკულტეტის დეპარტამენტები ჩართული არიან სპეციალისტთა გადამზადების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკრედიტებულია ორი საბაკალავრო პროგრამა: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“. საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის სფეროში მუშაობის, შემდგომი პროფესიული ზრდისა და აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, კომპეტენციის ფარგლებში მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას დიპლომისშემდგომი განათლების გაგრძელებისთვის. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფრანგულ მხარესთან – მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (Uniman) თანამშრომლობით. პროგრამა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, აქცენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- ✓ ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;
- ✓ ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზება და შეფასება;
- ✓ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზება და მართვა;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დაწესებულების მუშაობის დაგეგმვა და მონიტორინგი;
- ✓ მართვის თანამედროვე პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში.

ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობენ საფრანგეთის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია „Uniman“-ის პროფესორები. სწავლების ენა ქართულია. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრანგული ენის ინტენსიური სწავლება. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი, აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის რეალიზების შესაძლებლობა საქართველოში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში, რაც იძლევა მიღებული ცოდნის გამოყენებისა და დასაქმების, ასევე, ევროპული განათლების მიღების შესაძლებლობას. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც უფლებას აძლევს სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში მოქმედ სამაგისტრო პროგრამებზე:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- გარემოს მედიცინა;
- ეპიდემიოლოგია;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში.

მაგისტრს უფლება აქვს, სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში; მისი წარმატებით დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პროფილური პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შესაძლებელია აკადემიურ და კვლევით აქტივობაში ჩართვა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის, გარემოს მედიცინის, პროფესიული მედიცინის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აისახა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალური პრობლემები“ და „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“.

ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ მიერაა ორგანიზებული უკვე ტრადიციად ქცეული სტუდენტური კონფერენცია, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბაკურიანში. სტუდენტების აქტიური მონაწილეობით ხორციელდება პროექტი, რომელიც ეძღვნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს, ისინი ჩართულნი არიან შემეცნებით აქტივობებში, საქველმოქმედო აქციებში, მონაწილეობენ საჭადრაკო ოლიმპიადებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებში, თსსუ-ის თეატრალური დასის, „ჰიგიას“, სპექტაკლებში და არიან საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში. თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტების აქტიური ჩართულობით ფართოდ აღინიშნება „ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე“, „დიაბეტის მსოფლიო დღე“, „აუტიზმის საერთაშორისო დღე“ და სხვ.

ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო კონტაქტები საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ისრაელის, უნგრეთის, ამერიკის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის, ამერიკისა და კანადის უნივერსიტეტებში.



❖საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამა

❖საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (ქართული და ფრანგული დიპლომებით)

მისაღები კონტინგენტი – 110

მისაღები კონტინგენტი – 40

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 40%+1 | 2 | |
| უცხოური ენა | 40%+1 | 2 | |
| ბიოლოგია | 40%+1 | 4 | |
| ქიმია | 40%+1 | 4 | 39/14 |
| ფიზიკა | 40%+1 | 4 | 33/12 |
| მათემატიკა | 40%+1 | 4 | 38/14 |








# გაიცანი — ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

თანამედროვე მედიცინის წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის გარეშე, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება ითვალისწინებს არა მხოლოდ დაავადების მკურნალობას, არამედ პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარი ამოცანაა.

რეაბილიტაცია არის უწყვეტი და კოორდინირებული პროცესი, რომელიც იწყება დაავადების ან დაზიანების დაწყებისთანავე და გრძელდება საზოგადოებაში პაციენტის სრულ რეინტეგრაციამდე.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, დღითიდღე იზრდება ინტერესი თანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ, შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნილება თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სპეციალისტებზე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანების სამედიცინო დახმარებას.

ფაკულტეტზე მოქმედებს ევროპული სტანდარტების თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

სტუდენტები მომავალ პროფესიას ეუფლებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტში, საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებსა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ისინი სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანებებისა და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა პროფესიული საქმიანობის საშუალება. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასა და მიმართულებაზე. ეს შეიძლება იყოს ინტენსიური თერაპიის ბლოკი, საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილება, ცალკეული რეაბილიტაციის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სამსახური.

დიპლომისშემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევების შეძენას. ფაკულტეტზე მოქმედებს ოთხი სამაგისტრო პროგრამა: „პედიატრიული რეაბილიტაცია", „მრჩეველი რეაბილიტაციაში", „რეაბილიტაცია სპორტში" და „ბიოსამედიცინო ინჟინერია".

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებულად მონაწილეობენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის, მეტად აქტუალურია ნეირორეაბილიტაციის, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების ფიზიკური რეაბილიტაციის და მაღალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების თანამედროვე პროგრამები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენციით და მრავლად არიან დასაქმებული საქართველოს წამყვანი კლინიკების სამედიცინო რეაბილიტაციის განყოფილებებსა და კერძო სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოღვაწეობენ სპორტული კლუბებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახურებში. კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს გააჩნია მჭიდრო კავშირი აშშ-ის უნივერსიტეტებთან. ჩვენს ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე, როგორც ერთობლივი ტელეხიდები და კონფერენციები, საერთაშორისო პროფესორების მონაწილეობა აკადემიურ პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, კერძოდ, ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამის წამყვანი აკადემიური პერსონალის ჩართულობასა და კოლაბორაციას.

პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება ფაკულტეტის კლინიკური ბაზის გაძლიერება, რომელსაც დაემატა კიდევ ერთი სარეაბილიტაციო ცენტრი კენ ვოლკერის სახელობის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის სახით, რომელიც ტექნიკური აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურული თუ ადამიანური რესურსით, სრულიად უნიკალური და მოწინავეა საქართველოში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან სტუდენტურ-სამეცნიერო პროექტებში, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და სტუდენტურ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, რეგულარულად აწყობენ მრავალფეროვან სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს, აქტიურად მონაწილეობენ შიდასაუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში. ასევე, აღსანიშნავია მათი მონაწილეობა და მიღწევები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში.

მნიშვნელოვანია ფაკულტეტის სტუდენტთა მზარდი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ERASMUS+-ის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო და ფაკულტეტის კლინიკური დეპარტამენტების მიერ შეთავაზებულ სტაჟირებებში და აქტიური ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ფიზიკური თერაპიის მსოფლიო კონფედერაციასთან.

## ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 90

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 45%+1 | 3 | |
| უცხოური ენა | 45%+1 | 3 | |
| ბიოლოგია | 45%+1 | 3 | |
| ქიმია | 45%+1 | 3 | 36 |
| ფიზიკა | 40%+1 | 3 | 27 |
| მათემატიკა | 40%+1 | 3 | 27 |

# გაიცანი — საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ტრადიციული ხედვა. საექთნო განათლების წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები დადგა. სამედიცინო პრობლემების მზარდი კომპლექსურობის პირობებში, წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის, აუცილებელი გახდა მომავალი ექთნის აღჭურვა ცოდნის იმ მოცულობით, რომელიც სცდება საქართველოში არსებულ საექთნო განათლების ტრადიციულ საზღვრებს.

2011-2012 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ ამოქმედდა საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა, რომელთა მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა – 4 აკადემიურ წელს. სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (პროგრამა MARTA) ინიცირებული პროექტის – „საქართველოში ბებიაქალთა ცოდნის და უნარების გაუმჯობესება" – ფარგლებში.



პროექტის განხორციელებაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ETC Fiundation-მა (ნიდერლანდები), HERA-XXI-მა (საქართველო), ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციამ (ICM, Hague) და როტერდამის ბებიაქალთა უნივერსიტეტმა – Rotterdam University of Midwives (RUM/VAR).

2015-2016 სასწავლო წლიდან T.G. დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება მიღება საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიულ პროგრამაზე, რომელიც უნიკალურ შანსს აძლევს სტუდენტებს, სტაჟირება გაიარონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამისა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კომპეტენციასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

## ❖ საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა
## ❖ სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 30

მისაღები კონტინგენტი – 10

| საგამოცდო საგანი | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი | კოეფიციენტი | ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 25%+1 | 3 | |
| უცხოური ენა | 25%+1 | 3 | |
| ბიოლოგია | 25%+1 | 3 | |
| ქიმია | 25%+1 | 3 | 12/4 |
| ფიზიკა | 25%+1 | 3 | 9/3 |
| მათემატიკა | 25%+1 | 3 | 9/3 |

# სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური

სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციაზე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საქმიანობაზე. დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასა და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან.

სამსახურის საქმიანობა მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევის პროგრამების დამტკიცების პროცესის, დოქტორანტურასა და მაგისტრატურაში კონკურსის გამოცხადების, მისაღები გამოცდების ჩატარებისა და დოქტორანტთა თუ მაგისტრანტთა ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებას, პერმანენტულ კონტროლს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე, სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და დოქტორანტების მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ორგანიზებას, სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას სადისერტაციო საბჭოებში წარსადგენად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად, უცხოეთში დაცული სადისერტაციო ნაშრომების შეფასებას კვლევის შედეგების სამეცნიერო, აკადემიური, პრაქტიკული და მეთოდური ღირებულების თვალსაზრისით.

სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას თსსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, სხვადასხვა მიმართულების თუ დეპარტამენტის მიერ მიღებული გრანტების და სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომლის სისტემატიზების შემდეგ ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. ამ ანგარიშების წარდგენა და მოხსენება ხდება როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ისე – სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმზე. მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაცია თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის შესახებ ეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს.

თსსუ-ში მოქმედებს 4 სადოქტორო კვლევის პროგრამა: „მედიცინა", „სტომატოლოგია", „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" და „ფარმაცია". 2023 წელს ხორციელდებოდა 153 ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის პროგრამა. დისერტაცია დაიცვა 37-მა დოქტორანტმა, რომლებსაც ჯანდაცვის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ.

თსსუ-ში მოქმედებს 11 სამაგისტრო პროგრამა, რომელთა კურსდამთავრებულები – მაგისტრები – წარმატებით საქმიანობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროების სხვადასხვა სექტორში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია ახალგაზრდა მკვლევრების მომზადება, რომლებიც მომავალში ღირსეულად განაგრძობენ როგორც სამეცნიერო, ასევე, აკადემიურ საქმიანობას. ამ თვალსაზრისით სერიოზული განაცხადია თსსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოზე 2021 წელს მიღებული დადგენილება – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესი", რომლის თანახმად, თსსუ დოქტორანტებს სთავაზობს ფინანსურ წახალისებას სტიპენდიით წელიწადში 24 ათასი ლარის ოდენობით და, ასევე, კვლევის და სწავლის დაფინანსებით – 10 000 ლარის ოდენობით. ეს შეთავაზება განკუთვნილია მათთვის, ვინც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის დადგენილ საერთო პირობებს და დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის წარმოდგენილი აქვს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედი სერტიფიკატი.

# დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი



დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების წარმართვა. ამ საქმიანობას ინსტიტუტში არსებული რეზიდენტურისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს და მართავს.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) უმაღლესი სამედიცინო განათლების/დიპლომამდელი სამედიცინო განათლების შემდგომი ეტაპია საექიმო სპეციალობის დასაუფლებლად და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიმდინარეობს 50 საექიმო სპეციალობაში უნიფიცირებული აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამებით, განათლების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. საერთო ლიმიტი, ამ ეტაპისათვის, 1028 ადგილია. პროფესიული მზადების მრავალეტაპიან პროცესში არაერთი რგოლია ჩართული: თავად სპეციალობის მაძიებელი/რეზიდენტი, მოდულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი, თსსუ-ის საგამოცდო ცენტრი, თსსუ-ის აფილირებული და პარტნიორი კლინიკები — ჯამში 139-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება და, რა თქმა უნდა, რეზიდენტურის სამსახური, რომელიც მართავს და კოორდინაციას უწევს პროფესიული მზადების მუდმივად ცვლად და დინამიკურ პროცესს. 2022 წელს შეიქმნა და 2023 წლიდან სატესტო რეჟიმში რამდენიმე სპეციალობისთვის ამოქმედდა სპეციალობის მაძიებლის/რეზიდენტის ელექტრონული პლატფორმა. აღნიშნული ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების პროცესის გაცილებით ეფექტურად წარმართვას.

უწყვეტი პროფესიული განვითარება დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) მომდევნო ეტაპია და გრძელდება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში, არის რა საექიმო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების თანამედროვე მედიცინის მიღწევებსა და ტექნოლოგიებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მედიცინის და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო, სამედიცინო პერსონალი პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთან აფილირებულ და პარტნიორ კლინიკებში, ახორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა;
- პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით;
- კვალიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამა;
- კლინიკური სტაჟირების კურსი;
- გადამზადების პროგრამა;
- სუბსპეციალობის პროგრამა;
- სპეციალიზაციის პროგრამა.

ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე, უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური აგრძელებს მუშაობას სტრატეგიული მიმართულებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ამუშავდა უწყვეტი სამედიცინო განათლების პლატფორმა. ონლაინპლატფორმა მოქნილი ფორმაა ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. პროგრამა იძლევა საშუალებას, მომხმარებელი გაეცნოს თემატიკის შესაბამის სასწავლო ლიტერატურას, მასალას. სასწავლო პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს სავარჯიშო ვერსიას, იძლევა რა შესაძლებლობას, აპლიკანტმა გაიაროს წინასწარი ტესტირება საკუთარი ცოდნის შესაფასებლად, სანამ უშუალოდ სერტიფიკატის მოპოვების პროცესს შეუდგება.

გაგრძელდა თანამშრომლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. დეკემბერში უსგ პროგრამით – „პირველი დახმარება და ქრონიკული დაავადებების მართვა პირველად ჯანდაცვაში" – მომზადდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურებაში ჩართული პერსონალი.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) და შემდგომ უწყვეტი პროფესიული განვითარება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის მანძილზე გრძელდება. ინსტიტუტი კი უზრუნველყოფს ორივე კომპონენტის განხორციელებას ერთ საგანმანათლებლო სივრცეში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

# სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური



სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს რექტორის აპარატში, რომლის ძირითადი ფუნქციებია საკარიერო სერვისის განვითარება, თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბების კოორდინაცია და მათი საქმიანობის ხელშეწყობა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა და, ამ მიზნით, თანამშრომლობის კოორდინირება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან.

სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების განვითარებას, ლექცია-სემინარების, ტრენინგების და მასტერკლასების ორგანიზებას, სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობის და საერთაშორისო სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, სტუდენტური სოციალური პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებას, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობას, თსსუ-ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ურთიერთობას შესაბამის სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზნით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური კოორდინაციას უწევს სტუდენტური ღონისძიებებისთვის განსაზღვრული წლიური ბიუჯეტის დაგეგმვას;

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის ჩართულობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ეფექტურად წარიმართება კოორდინაცია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის, დამსაქმებელ კომპანიებთან თანამშრომლობა და ვაკანსიების კერძო თუ სახელმწიფო უწყებებში მოძიება პროფესიული მიმართულებით, კარიერული განვითარების მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიული და საკარიერო განვითარების ხელშეწყობა; სამსახურის ჩართულობით გაცილებით სწრაფად, ეფექტურად და მარტივად ხერხდება დამსაქმებლებთან, პროფესიულ და დამსაქმებელთა ასოციაციებთან ურთიერთობა;

სამსახურის მიერ ხორციელდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიზნობრივი კვლევები, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმატებული შედეგის მისაღწევად. ამ კვლევების საფუძველზე ყველა შეთავაზება და წინადადება სწრაფად მიეწოდება მიზნობრივ ჯგუფებს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის მიერ განხორციელებული დასაქმების ფორუმები ყოველთვის შედეგიანი და ეფექტური იყო სამსახურის მაძიებელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის ფუნქციაში შედის, ასევე, სტუდენტური ორგანიზაციების და კლუბების საქმიანობის ორგანიზება და კოორდინირება; სტუდენტური პროგრამების და პროექტების განხორციელება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციობს შემდეგი კლუბები და ორგანიზაციები: თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა; ივ.თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება; მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია (IFMSA); ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია-თბილისი (EMSA); ევროპის სტომატოლოგ სტუდენტთა ასოციაცია (EDSA); საქართველოს ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაცია (GPSA); საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტუდენტური ორგანიზაცია; სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კლუბი „ენდევორი"; ინტელექტ-კლუბი; კინოკლუბი MEDICINEMA; საქართველოს თანასწორობის ასოციაციის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა, სტუდენტური სიმულაციური კლუბი – „მომავალი ექიმები საქართველოსთვის".

გაიცანი

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 25 მარტს დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილიანი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა სტუდენტთა განათლების დონის ამაღლება, მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური გამოცდილების გაზიარება. თსსუ-ის დევიზის – „ტრადიციებით მომავლისკენ“ – ხორცშესხმა სათანადო მაღალი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზის გარეშე წარმოუდგენელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სამედიცინო ნოვაციების დანერგვის ადგილია. „საუნივერსიტეტო“ – ეს მხოლოდ ჟღერადი ეპითეტი როდია, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან სწორედ აქ ხდება, ერთი მხრივ, მომავალი ექიმების ჩამოყალიბება, ხოლო, მეორე მხრივ — პაციენტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა სარწმუნოობის მაღალი დონის გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიხედვით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მზადებას გადის ათასობით საქართველოს მოქალაქე და საერთაშორისო სტუდენტი, ასობით რეზიდენტი. კლინიკა სრულად არის ადაპტირებული სასწავლო მიზნებისთვის. აქ განთავსებულია სხვადასხვა კლინიკური დეპარტამენტი/მიმართულება, რომელთა განკარგულებაშია 5 სალექციო აუდიტორია და 70 სასწავლო ოთახი.



თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა ორიენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული მტკიცებითი მედიცინის სტანდარტებით მომსახურებაზე. ეს არის 187 საწოლზე განსაზღვრული თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოსახლეობას. კლინიკაში 800-ზე მეტი თანამშრომელია. აქ, მაღალ-ხარისხიანი დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანულად არიან ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში. ასეთი ინტეგრაცია პროფესიული დახელოვნებისკენ მიმავალი საყოველთაოდ აპრობირებული უტყუარი და საიმედო გზაა.

კლინიკაში ყველა პირობაა კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისთვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე განთავსებულია სასწავლო დეპარტამენტები:**

ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი; ქირურგიის დეპარტამენტი; უროლოგიის დეპარტამენტი; თვალის სნეულებათა დეპარტამენტი; ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტი; ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტი; მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი; ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკისა და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტი; რადიოლოგიის დეპარტამენტი; ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი; კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი; ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი.

**კლინიკაში ფუნქციობს შემდეგი მიმართულებები:**

გადაუდებელი მედიცინის, რეანიმაციის, ანესთეზიოლოგიის მიმართულება; ამბულატორია; რადიოლოგია; კარდიოლოგია; ტრავმატოლოგია; ზოგადი ქირურგია (ონკოლოგია); ოფთალმოლოგია; ოტორინოლარინგოლოგია (ყელ-ყურ-ცხვირი); ნევროლოგია; ყბა-სახის ქირურგია; ნეირო და ენდოვასკულარული ქირურგია; უროლოგია; ენდოკრინოლოგია; პერინატოლოგია (ორსულობა-მშობიარობა); ლაბორატორია; გასტროენტეროლოგია; ტრანსფუზიოლოგია; თერაპია; ახალშობილთა ინტენსიური თერაპია; კანისა და ვენერიულ სნეულებათა მიმართულება; ენდოსკოპია; გულისა და მაგისტრალურ სისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორია; ჰემატოლოგია; სისხლძარღვთა ქირურგია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა
თბილისი:გუდამაყრის ქუჩა № 4
ტ. +995 32 2610101;
firstclinic@tsmu.edu

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა მრავალპროფილური ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებაა, აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და ტექნოლოგიებით, სადაც სამედიცინო საქმიანობას ეწევა თსსუ-ის პროფესურა და უმაღლესი კვალიფიკაციის სხვა სამედიცინო პერსონალი.

კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისებს. კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებები:

- თერაპიული სამსახური,
- ნეონატოლოგიური სამსახური,
- ენდოკრინოლოგიურისამსახური,
- ქირურგიული სამსახური;,
- კრიტიკული მედიცინის სამსახური,
- ანესთეზიოლოგიური სამსახური და საოპერაციო ბლოკი,
- სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული სამსახური,
- ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახური.





კლინიკის ახალ, მეორე კორპუსში იგეგმება პალიატიური მოვლის სერვისის მიწოდება.

კლინიკა მუდმივად მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში; კლინიკის პერსონალი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ატარებს პროფილაქტიკურ გასინჯვებსა და დიაგნოსტიკურ კვლევებს.

კლინიკა მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებთან. თსსუ-ის მოწვევით უცხოელი ექიმი-სპეციალისტები საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სამედიცინო კონსულტაციებსა და მკურნალობას უტარებენ პატარა პაციენტებს. აღსანიშნავია, რომ თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში მრავალი წლის განმავლობაში დროებით საექიმო საქმიანობას ახორციელებდნენ უცხოელი ექიმი-სპეციალისტები: დუისბურგის (გერმანია) ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის კლინიკიდან მოწვეული პროფესორები, ყბა-სახის ქირურგები: ჰელმუტ ზიბერი და ვიქტორ ვაილერტი, ნორვეგიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის კათედრის დოცენტი, ამჟამად – ლონდონის სამედიცინო სკოლისა და ნიქოზიის (კვიპროსი) უნივერსიტეტის მიმღები ოფიცერი, დერმატოვენეროლოგი, მედიცინის დოქტორი ოლე მარტინ რორდამი; კლინიკაში საექიმო საქმიანობას ეწეოდა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, დამსახურებული პედიატრი, გასტროენტეროლოგი, ჰემატოლოგი და ნუტრიციოლოგი მიხაელ იაკობუს ლენტცე, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად კონსულტაციას უწევდა პაციენტებს. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 27 ნოემბრის განკარგულებით, საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და გაწეული ჰუმანიტარული დახმარებისთვის, პროფესორი მიხაელ ლენტცე 2015 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა. კლინიკის კოლექტივი ამაყია იმით, რომ ბატონი ლენტცე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია.

კლინიკის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ცენტრებთან და სპეციალისტებთან, რომელთა შორისაა: პროფესორი რან შტეინბერგი (ბავშთა ქირურგიის დეპარტამენიტის უფროსი, რუტ რაპაპორტის ბავშვთა სამედიცინო ცენტრი, ჰაიფა), პროფესორი არკადი ვაჩიანი (ბავშვთა ქირურგი, ლაპარასკოპიული მიმართულების ხელმძღვანელი, რუტ რაპაპორტის ბავშვთა სამედიცინო ცენტრი, ჰაიფა), პროფესორი ვადიმ კაპულერი (ჰადასას სამედიცინო ცენტრი, იერუსალიმი), პროფესორი დებორა ლოეფი (ჩიკაგოს საუნივერსიტეტო კლინიკა, ბავშვთა ქირურგი, რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი).

ასეთი კოლაბორაცია მეტად მნიშვნელოვანია კლინიკის სამედიცინო, ლაბორატორიული და სადიაგნოსტიკო სამსახურის განვითარების, სტუდენტთა სწავლების, რეზიდენტთა მზადების და კლინიკის პაციენტების სამედიცინო მომსახურების მაღალ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებისთვის.

სამედიცინო საქმიანობის პარალელურად, კლინიკაში მიმდინარეობს დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო აქტივობები, ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მათ შორის, საერთაშორისო კლინიკური და კოლაბორაციული კვლევების ფარგლებში, ენდოკრინოლოგიის, ბავშვთა ნევროლოგიის, ბავშვთა ქირურგიის მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა
თბილისი: ლუბლიანას ქუჩა № 33
ტ. +995 32)252 87 16; +995 32)254 06 97; +995 32 252 87 16
jvaniaclinic@tsmu.edu; zhvaniaclinic@tsmu.edu

# შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“

შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ 2009 წელს დაარსდა პროფესორ გოჩა ინგოროყვას მიერ.

საუნივერსიტეტო კლინიკის დაარსების მიზანი იყო ისეთი კლინიკის შექმნა, სადაც პაციენტები მიიღებდნენ ყველა პროფილის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას ერთ სივრცეში.

2020 წლიდან კლინიკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკათა რიცხვს შეემატა და კიდევ უფრო მეტი დატვირთვით ჩაერთო სტუდენტთა განათლების პროცესში.




კლინიკის სტრატეგია ეფუძნება პრინციპს, რომ ის უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულება, სადაც პრაქტიკული საქმიანობა, მეცნიერების განვითარება და სწავლება ორიენტირებული იქნება პაციენტებზე.

კლინიკა აღჭურვილია ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რაც იძლევა საშუალებას პაციენტებმა მიიღონ ევროპული დონის სამედიცინო მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ დაარსებიდან დღემდე, შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების კლინიკა“ არის საქართველოში რვა სამედიცინო დარგისა და მიმართულების ფუძემდებელი, რომელიც დღეს უკვე ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის განვითარებული.

კლინიკა გაფართოვდა, დაემატა ახალი კორპუსი. საავადმყოფოში განთავსდა თსსუ-ის კლინიკური დეპარტამენტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა
თბილისი: 0144; წინანდლის ქუჩა № 9. ტ. +99532 2 050500

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა

თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა არსებობის საუკუნოვან ისტორიას ითვლის. სტომატოლოგიური კლინიკის ფუნქციობა, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არქიტექტურით გამორჩეულ შენობაში, 1922 წლიდან იწყება. კლინიკა უნივერსიტეტის სასწავლო ბაზა და აკრედიტებული ამბულატორიული სამედიცინო (სამკურნალო-პროფილაქტიკური) დაწესებულებაა, რომელიც პაციენტს აწვდის და ახორციელებს სტომატოლოგიური მომსახურების სრულ და უწყვეტ სერვისს, კერძოდ, მოზრდილთა თერაპიულ, ქირურგიულ, პაროდონტოლოგიურ, ორთოპედიულ, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოდონტიულ და რენტგენოლოგიურ მომსახურებას, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხოების და სტერილიზაციის მაღალი სტანდარტი. კლინიკაში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურა.



კლინიკის ბაზაზე განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეპარტამენტები (ოდონტოლოგიის, პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა, ორთოპედიული სტომატოლოგიის, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიის, ორთოდონტიის, ყბა-სახის ქირურგიის), რომლებიც აქტიურად წარმართავენ სწავლების პროცესს თანამედროვე სტომატოლოგიის განვითარების კვალდაკვალ. სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ, აქტიურად არიან ჩართულნი პაციენტთა მკურნალობის პროცესში.

კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე ტიპის სტომატოლოგიური დანადგარებით, სასწავლო ფანტომ-მულაჟებით და კომპიუტერული ტექნიკით. უახლესი თაობის სტომატოლოგიური ტრენაჟორი – „Nissin Simodont Dental Trainer“ კლინიკის სიამაყეა. სწორედ მისი გამოყენებით იხვეწება სტუდენტის მიერ პირის ღრუში მანევრირების ტექნიკა. კლინიკაში კლინიკურ, სასწავლო და კვლევითი აქტივობების წარმატებულ პროცესს ხელს უწყობს სტომატოლოგიური ულტრათანამედროვე ელექტრონული მიკროსკოპი –Leica. კლინიკის ბაზაზე ფუნქციობს თანამედროვე ტიპის ორთოპედიული სატექნიკო ლაბორატორია (CAD/CAM), რომელიც აღჭურვილია უახლესი ჩარხ-დანადგარებით და სრულად კომპიუტერიზებული მართვის ცენტრით, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სტომატოლოგიურ მომსახურებას. ლაბორატორიაში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ და შეისწავლონ თანამედროვე სატექნიკო ორთოპედიული ტექნოლოგიები.

კლინიკაში აქტიურად მიმდინარეობს როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომისშემდგომი სწავლების პროცესი – რეზიდენტურის სრული კურსი: თერაპია, ორთოპედია, ორთოდონტია, სუბსპეციალობა, რეაბილიტაცია და რეზიდენტურის შემოკლებული კურსები, საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მედპერსონალის სტაჟირება.

კლინიკის ექიმები, კლინიკური აქტივობის პარალელურად, სისტემატურად ესწრებიან და იღებენ მონაწილეობას, როგორც ადგილობრივ, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ლექცია-სემინარში;

კლინიკის ადმინისტრაცია, კლინიკაში განთავსებული ოდონტოლოგიის დეპარტამენტის დახმარებით, მუდმივად ახორციელებს ყველა დანარჩენი საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ექიმებისთვის თანამედროვე სტომატოლოგიის უახლესი მეთოდებით მკურნალობის თავისებურებების გაცნობა-შესწავლას;

კლინიკა ხშირად მასპინძლობს უცხოელ პროფესორებს ლექცია-სემინარების ჩასატარებლად;

კლინიკა ყოველთვის აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში.

**თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა**
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 126, ტ.: 995 32 2952569
urushadze.dentalclinic@tsmu.edu

**თსსუ-ის № 1 სტომატოლოგიური კლინიკა**
თბილისი, ვაჟა-ფშაველას № 33; ტ.: 2953209
dentalclinic@tsmu.edu




# ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას ემსახურება

## კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა




„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ პირველია საქართველოში, სადაც სამედიცინო რეაბილიტაციის, ფიზიკური რეაბილიტაციის და მედიცინის მეცნიერებების დაუფლებაა შესაძლებელი. რეგიონში პირველი, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული, მაღალკვალიფიციური სარეაბილიტაციო მომსახურების გარდა, კლინიკის შექმნის მიზანი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული კლინიკური სასწავლო ბაზის უზრუნველყოფა.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის'“ ცენტრალური ფილიალი თბილისში, ოფიციალურად, 2020 წლის ივლისში გაიხსნა, კლინიკის მცირე ფილიალმა კი მუშაობა 2018 წლის დეკემბერში დაიწყო ბათუმში.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ თბილისისა და ბათუმის ფილიალები ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის, ზრდასრულთა რეაბილიტაციის და, ასევე, დამხმარე საშუალებების წარმოების (ორთეზების) სახელმწიფო პროგრამების პროვაიდერია.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული და სრული სარეაბილიტაციო კლინიკური ბაზა:

- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი – ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია);
- თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კენ ვოლკერის კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი);
- თსსუ-ის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი (დირექტორი – პროფესორი ვალერი ახალკაცი).

სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა პირველია ამიერკავკასიაში, რომელიც აღჭურვილია ამერიკული და ევროპული მაღალტექნოლოგიური სარეაბილიტაციო მოწყობილობებით და საჭიროების მქონე პირებს სთავაზობს სრულ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ (გუნდურ მიდგომაზე დაფუძნებულ) სარეაბილიტაციო მომსახურებას. „კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ თბილისისა და ბათუმის ფილიალები აწვდის სრულ სარეაბილიტაციო სერვისებს ბავშვებსა და ზრდასრულებს. კლინიკაში დანერგილია ყველა ის თანამედროვე მეთოდი, რომელიც სამედიცინო რეაბილიტაციაში გამოიყენება. საუნივერსიტეტო კლინიკაში დასაქმებულნი არიან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, USAID-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ფიზიკური რეაბილიტაციის საგრანტო პროექტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადებული ადგილობრივი სპეციალისტები.

მედიცინის დარგის სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი პრაქტიკული განათლებისა და გამოცდილების სწავლის პროცესში მიღება მნიშვნელოვანი ფაქტორია.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაცის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები, თსსუ-ის მაგისტრები და რეზიდენტები. თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მეხუთე სემესტრიდან იწყებენ, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები - მეთერთმეტე სემესტრიდან.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ სრულ სარეაბილიტაციო მომსახურებას აწვდის პაციენტებს, შესაბამისად, საუნივერსიტეტო კლინიკაში სწავლება მრავალპროფილურია: თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ ფიზიკურ თერაპევტებს, შეხება აქვთ ნევროლოგიურ, ორთოპედიულ, პოსტქირურგიულ, პოსტტრავმულ პაციენტებთან. კლინიკის სარეაბილიტაციო სივრცეები საშუალებას იძლევა, პრაქტიკული მეცადინეობისთვის სტუდენტები მცირე ჯგუფებად განაწილდნენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტის უკეთ მომზადებასა და განვითარებას.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ სასწავლო მიმართულებაში ჩართული სპეციალისტები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, რომელთაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში, ისინი წლებია თსსუ-ში სტუდენტების განათლებას უზრუნველყოფენ. აკადემიური პერსონალი მუდმივად იღვწის სამეცნიერო მიმართულებებით: უწყვეტად მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული გაიდლაინებისა და მეთოდური რეკომენდაციების შექმნაზე, ასევე – სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ სწავლის დასრულებისთანავე დასაქმდნენ და შეუდგნენ უწყვეტ კარიერულ ზრდას: მიიღონ დიპლომისშემდგომი პროფესიული განათლება, ჩაერთონ კლინიკისთვის დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგში და აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია. თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს კი ეძლევათ შანსი, გახდნენ წარმატებული ექიმი რეაბილიტოლოგები, რომლის დეფიციტსაც განიცდის საქართველოს ჯანდაცვის სისტემა. კლინიკაში სტაჟირების საშუალება, ასევე, ეძლევათ მოქმედ დიპლომირებულ ექიმებსა და ფიზიკურ თერაპევტებს.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ კვალდაკვალ მიჰყვება სამედიცინო რეაბილიტაციის მსოფლიო ტენდენციებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, კლინიკა ფიზიკური თერაპევტებისთვის ახორციელებს პოსტდიპლომური უწყვეტი განათლების პროგრამას ბავშვთა მიმართულებით. ანალოგიური სასწავლო პროგრამის შემუშავება მიმდინარეობს ზრდასრულების მიმართულებით.

**კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა**
თბილისი: გუდამაყარის ქ. №4 (თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მიმდებარედ);
ბათუმი: ტბელის ქ 4. (ყოფილი გოგებაშვილის №.40).

# კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითადი მიზანი სტუდენტთა და რეზიდენტთა თანამედროვე სტანდარტებით პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობაა. აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკებს შორის ფორმდება მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომელთა მიზანია კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, მაღალი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მქონე სამედიცინო-საგანმანათლებო კლინიკური ბაზების შექმნა, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება, როგორიცაა: კლინიკური დისციპლინების დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სწავლება, უწყვეტი პროფესიული განვითარება, სამეცნიერო კვლევები, ექიმებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და სხვა.

ამ დროისთვის გაფორმებულია 187 ხელშეკრულება და მემორანდუმი სამედიცინო და კვლევით დაწესებულებებთან, მათ შორისაა: 11 სტომატოლოგიური კლინიკა; 41 კლინიკას მიენიჭა აფილირებული კლინიკის სტატუსი, ხოლო 2023 წელს ხელშეკრულება და მემორანდუმი განახლდა 23 კლინიკასთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კლინიკურ ბაზებზე მიმდინარე აკადემიურ პროცესებში მათი ჩართულობა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უწყვეტი მონიტორინგი, კონფერენციების დაგეგმვა და ჩატარება, აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლება და დეპარტამენტების მიერ პროცესის თანამედროვე დონეზე განხორციელების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, თსსუ-სა და ფონდის – „სოლიდარობა განათლებისთვის“ ერთობლივი ორგანიზებით, ათამდე სტუდენტი გაემგზავრა ჰანოვერში (გერმანია) ანაზღაურებად სტაჟირებაზე კლინიკური უნარ-ჩვევების დასაუფლებლად; პროექტი გრძელდება და მიმდინარე წელს სტაჟირებაში მონაწილეობის უფლება მიეცემა 15-მდე სტუდენტს.




# აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მიზანია უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდების შემუშავებისა და განხორციელების პროგრამების შემუშავება და მათ დასანერგად აკადემიური პერსონალის გადამზადება.

დეპარტამენტთან ფუნქციობს აკადემიური განვითარების ცენტრი (2012 წლიდან) და ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი (2019 წლიდან), სადაც რეგულარულად ტარდება ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

დეპარტამენტის ამოცანებია:

- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა, გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და ამ გეგმების განხორციელების მონიტორინგში მონაწილეობა;
- სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია – სწავლის, სწავლებისა და ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიაში ტრენინგის პროგრამების შემუშავება და ჩატარება;
- სამედიცინო განათლების საკითხებზე საერთაშორისო პროექტების შემუშავება და განხორციელება.

ზემოხსენებული მიმართულებებით დეპარტამენტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

2019 წელს თსსუ-ში გაიხსნა სამედიცინო განათლების აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის რეგიონული ჰაბი – ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რომლის მიზანია სწავლების, სწავლისა და შეფასების უახლესი მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისთვის და მათი გადამზადება. „ESME“ – ძირითადი უნარები სამედიცინო განათლებაში” სხვადასხვა ტრენინგებს უძღვებიან სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტები. აღსანიშნავია, რომ AMEE–ESME ოთხი კურსის წარმატების გავლის შემთხვევაში მონაწილეებს მიენიჭებათ საერთაშორისოდ აღიარებული AMEE-ის სამედიცინო განათლების სპეციალისტის სტატუსი, დამოწმებული შესაბამისი სერტიფიკატით.

2020 წელს AMEE-ის საპატიო წევრად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია აირჩიეს.

ცენტრის გახსნის დღიდან სულ ჩატარდა ESME-ის 20 სხვადასხვა კურსი:

- 7 ESME კურსი – „ძირითადი უნარები სამედიცინო განათლებაში”;
- 4 ESMEA – „აუცილებელი უნარები სამედიცინო განათლებაში – შეფასება“;
- 4 RESME – „კვლევის უნარები სამედიცინო განათლებაში”;
- 2 ESME EtT – „მასწავლებლის შეფასების კურსი“;
- 3 ESME Leadership კურსი.

ცენტრის დაარსებიდან დღემდე ESME კურსები გაიარა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის 20 უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის 300-მდე წარმომადგენელმა. 70-მა მონაწილემ უკვე მოიპოვა AMEE-ის სპეციალისტის სერტიფიკატი სამედიცინო განათლებაში, მათ შორის, 55 თსსუ-ის თანამშრომელია.

აღსანიშნავია, რომ ESME კურსების შედეგად შემუშავებული თსსუ-ის პროექტი – „OSTE-ის სადგურების დანერგვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (GIOSTE)“, მსოფლიო ბანკის პროექტის – „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q“ – ფარგლებში ჩატარებული კონკურენტული ინოვაციების ფონდის (CIF) კონკურსის გამარჯვებული გახდა და მოიპოვა მსოფლიო ბანკის დაფინანსება.

ცენტრში მოქმედებს სამი გადამზადების პროგრამა:

- „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია“;
- „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE-ის) ჩატარებისა და შეფასების მეთოდოლოგია”;
- „სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში“.

2023 წელს ტრენინგი გაიარა თსსუ-ის 293-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

2010 წლიდან დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციებში, სადაც 2022 წლიდან, ყოველწლიურად, AMEE-ის ცენტრის ეგიდით, წარდგენილი და გამოქვეყნებულია საქართველოს სახელით 12 აბსტრაქტი, მათგან 8-9 პუბლიკაცია არის თსსუ-ის წარმომადგენლების თანაავტორობით.

2023 წლიდან დეპარტამენტის აკადემიური განვითარების ცენტრში ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი – OSTE (ობიექტურად სტრუქტურირებული სწავლების შეფასება, Objective Structured Teaching Encounter), რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგების სწავლების უნარის შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას. პროექტი ერთობლივად ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ.

დეპარტამენტში შემუშავებულია 2011-2017 და 2018-2024 წ.წ. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები და ამჟამად მუშავდება 2025-2031 წ.წ. სტრატეგიული და 2024 წლის სამოქმედო გეგმა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეროვნული ავტორიზაციისთვის მზადებაში, რაც წარმატებით დასრულდა 2018 წლის სექტემბერში უნივერსიტეტისთვის სრული ავტორიზაციის მინიჭებით, მიმდინარეობს აქტიური მზადება 2024 წლის ავტორიზაციისთვის.

2012-2015 წლებში, დეპარტამენტის ინიციატივით, ქართულ ენაზე შეიქმნა და გამოიცა სასწავლო ლიტერატურა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სამეცნიერო და კლინიკურ უნარ-ჩვევებზე, პორტფოლიოზე; გამოიცა თანამედროვე სახელმძღვანელო კლინიკურ გერიატრიაში.

2018 წელს გამომცემლობა Springer-ის მიერ დაიბეჭდა წიგნი – „Principles and Practice of Case-based Clinical Reasoning Education”, რომელშიც ორი თავი დაიწერა პროფესორ გაიანე სიმონიას თანაავტორობით.

დეპარტამენტის თანამშრომლების აქტიური ჩართულობით 2022 წელს შემუშავდა განახლებული მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი.

## გაიცანი

# ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; ფონდის განახლებაში სტუდენტებიც აქტიურად მონაწილეობენ.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; ჩამონათვალი ცალკეა გამოყოფილი ელექტრონულ კატალოგ KOHA-ში და ელექტრონული ვერსიები დაცულია სპეციალურ პროგრამა Nexus-ში, სადაც მხოლოდ სტუდენტის პირადი ნომრით შეიძლება შესვლა. ბაზით სარგებლობის ინსტრუქცია და ლინკი განთავსებულია სტუდენტის პირად გვერდზე, სადაც, ასევე, პერიოდულად თავსდება განცხადებები ბიბლიოთეკის სიახლეების შესახებ. სტუდენტის მოთხოვნის შემდეგ, ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა და მეილზე გადაგზავნა ხდება.



ბიბლიოთეკაში ფუნქციობს მსოფლიოში დანერგილი ე.წ. „წიგნის გაცვლის თარო“ (book exchange), რაც მკითხველს ბიბლიოთეკისათვის შემოწირული წიგნებით სარგებლობის საშუალებას აძლევს.

სტუდენტებს საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა აქვთ, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, ასევე, სპეციალური ბაზიდან შემოსული მოთხოვნების გადამოწმების შედეგად, ეგზავნებათ დაშვების უფლება.

ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილების ელექტრონულ სივრცეში სტუდენტებს საშუალება აქვთ, გამოიყენონ უცხოურენოვან წიგნებთან თანდართული, დისკებზე ჩაწერილი სხვადასხვა სახის ელექტრონული ვიდეო და აუდიომასალა. წიგნების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგ KOHA-ში შექმნილ სპეციალურ სიაში: http://medlib.gela.org.ge/cgi-bin/koha/opac-shelves.pl?op=view&shelfnumber=48

ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტებთან, ეხმარება მათ სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაში. სტუდენტების მიერ დაწერილი სტატიები რეგულარულად იტვირთება ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის – „ასოციაცია მეცნიერებისათვის“ – მიერ სტუდენტებისათვის შექმნილ ელექტრონულ ჟურნალში – „ახალგაზრდა მკვლევარები“ (https://journals.4science.ge/index.php/jr).

სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის სივრცეს დაემატა ახალი დარბაზი, სადაც იზოლირებულად, სხვა დიდი დარბაზებისაგან დამოუკიდებლად, შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური მუშაობა.

ყველა ახალი ინფორმაცია აისახება ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მართულ ბიბლიოთეკის საიტზე: https://tsmu.edu/ts/library/ და სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე: https://www.facebook.com/tsmulibrary1







# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი



1932 წლის 5 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წიაღში ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, რომელსაც სათავეში პროფესორი იოველ ქუთათელაძე ჩაუდგა.

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში განხორციელებული ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების საფუძველზე შეიმუშაოს და აწარმოოს სამკურნალო საშუალებები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და კოსმეტიკური პროდუქტები. ინსტიტუტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფოკუსირებულია, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, დანერგოს ინოვაციური კვლევები და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მისიის განვითარებას, რაც მიზნად ისახავს: ხარისხსა და შედეგებზე ორიენტირებული კვლევების უზრუნველყოფას; სამეცნიერო-კვლევების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას; პროფილური კვლევების გაღრმავებას მომიჯნავე მეცნიერებებთან და მის ინტეგრირებას; საგანზე ორიენტირებულ და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას; საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისთვის სათანადო ბაზის შექმნას; სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის მოტივირებას. ინსტიტუტის საქმიანობა განუყოფელია თსსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმისგან და ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში; სტუდენტები ადრეული ეტაპიდან იწყებენ სამეცნიერო უნარ-ჩვევების დაუფლებას.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ამოცანებია: განახორციელოს ფუნდამენტური, გამოყენებითი და განვითარებაზე ორიენტირებული კვლევები საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოვლენაში; დაადგინოს გამოვლენილ ნივთიერებათა ქიმიური ბუნება; აუცილებლობის შემთხვევაში, – სასურველი ნივთიერების სინთეზი; მიღებული ნაერთების ფარმაკოლოგიური მოქმედების შეფასება და წინაკლინიკური შესწავლა; ბუნებრივი რესურსებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოების ტექნოლოგიის და ანალიზის მეთოდების შემუშავება; ახალი სამკურნალო საშუალებების, კოსმეტიკური პროდუქტების, ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატების შექმნა; ნებადართული პრეპარატების, კოსმეტიკური პროდუქტების, ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატების წარმოება და რეალიზაცია; საქართველოში გავრცელებული მცენარეების რესურსების შესწავლა; მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება ბუნებრივი რესურსების კვლევის დარგში.

სამკურნალო პრეპარატების შექმნა საკმაოდ რთული პროცესია და სხვადასხვა მომიჯნავე დარგის (ფარმაცია, ქიმია, ტექნოლოგია, ბიოლოგია, მედიცინა) სპეციალისტების ერთობლივ მოღვაწეობას მოითხოვს. ამ მიზნით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კომპლექსური სისტემა: ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერება – წამალი. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი აერთიანებს 5 სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტს 13 სამეცნიერო მიმართულებით და საწარმოო ექსპერიმენტულ ბაზას. სამეცნიერო საქმიანობას ეწევა 48 მეცნიერი-თანამშრომელი, 6 დოქტორანტი და 7 ლაბორანტი.

ინსტიტუტის დაარსებიდან დაიწყო საქართველოს ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერი შესწავლა – ლიპიდების, ანტრაქინონების, ალკალოიდების, სტეროიდული, ტერპენული, ფენოლური შენაერთების და სხვა თანმხლები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობაზე მედიცინაში, ფარმაცევტულ პრაქტიკაში, პარფიუმერია-კოსმეტოლოგიასა და კვების მრეწველობაში გამოყენების მიზნით.

საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან გამოვლენილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების საფუძველზე შექმნილია არაერთი ორიგინალური პრეპარატი. აღნიშვნის ღირსია პროტეოლიზური საშუალება – „კარიპაზიმი“, რომლის ფარმაკოლოგიურმა ეფექტურობამ მოიცვა არა მარტო საქართველო, არამედ ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა; კავკასიური სუროს ბაზაზე წარმოებულია მწვავე ვირუსული ინფექციების, ასთმისა და ბრონქოსპაზმით მიმდინარე ვირუსული ინფექციების სამკურნალო საშუალება – „კავსურონი“; მცენარე — Astragalus falcatus L, რომლის ფოთლებიდან და ყვავილებიდან წარმოებულია თირკმლის ქრონიკული და მწვავე უკმარისობის სამკურნალო პრეპარატი – „ფლარონინი“; მარტივი ჰერპესისა და ჩუტყვავილა-ზოსტერის ვირუსებით გამოწვეული კანისა და ლორწოვანი გარსების დაავადებების სამკურნალო მალამო – „როდოპესი“; ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი საშუალება – „ფაციფლოგინი“; საქართველოს ბუნებრივი რესურსის, ასკანის ბენტონიტური თიხიდან მიღებულია ჰიპერაციდული გასტრიტის სამკურნალო საშუალება – „ბენტობოლი“; ნოოტროპული და ფსიქომასტიმულირებელი ბიოლოგიურად აქტიური დანამატი – „გინკო-ბათი“; პოდაგრის, პერიოდული დაავადებებისა და ამილოიდოზის სამკურნალო საშუალება – „კოლხიცინი“; ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ანაბოლიტური საშუალება – „ტრიბუსპონინი“; ანტიფსორიაზული საშუალება, სავაჭრო დასახელებით – „ფსორანტრონი C მალამო“; მცენარე Satureja hortensis L-ის ფოთლებიდან მიღებული ჰიპოგლიკემიური პრეპარატი – „სატურინი“, რომელიც მნიშვნელოვნად აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში და, ამავდროულად, ხასიათდება ანტიოქსიდანტური მოქმედებით; კბილის ელექსირი – „მედეა“.

ინსტიტუტში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე საგამომგონებლო იდეებსა და ტექნოლოგიურ პროცესებზე სახელმწიფოს მიერ გაცემულია 4 საპატენტო მოწმობა.

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციით შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში დამზადდა სადეზინფექციო საშუალება სავაჭრო დასახელებით – „Hand sanitizer IKI“.

უნდა აღინიშნოს თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული საწარმოო ბაზის შესახებ, რომელიც უკვე 61 წელია ფუნქციონირებს. აღნიშნულ ბაზაში წლების მანძილზე მუშავდებოდა ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ყველა პრეპარატის და რეაქტივის მზადების ტექნოლოგიური პროცესი და მათი გამოშვება ფართო მოხმარებისათვის.

ამჟამად საწარმოო ბაზაში მზადდება ინსტიტუტის ორიგინალური პრეპარატი „კარიპაზიმი“ და, „შპს თურმანიძესთან" გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „თურმანიძის საგვარეულო მალამო“ – წლიური რეალიზაცია მერყეობს 1,200 000-1,300 000 ლარის ფარგლებში, რაც ინსტიტუტს საშუალებას აძლევს გარკვეული სახსრები მიმართოს მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერთა სახელფასო ფონდის ზრდისკენ.

წარმოებისათვის იგეგმება „ჰასპის“ და „ჯიემპის“ სტანდარტების ინსტალაცია.

ინსტიტუტი წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა უცხოეთის არაერთ წამყვან უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან: მარსელი, (საფრანგეთი), ინსბრუკი (ავსტრია), ჟენევა (შვეიცარია), ლიეჟი (ბელგია), სალერნო (იტალია), ათენი (საბერძნეთი), არიელი (ისრაელი), კვებეკი (კანადა), აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი, სომხეთის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი, სადაც სტაჟირება გაიარა ინსტიტუტის ათეულობით თანამშრომელმა, დოქტორანტმა და მაგისტრმა; შესრულდა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები, სადისერტაციო ნაშრომები, რაც აისახა ერთობლივ გამოქვეყნებულ შრომებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

ინსტიტუტში წარმატებით მიმდინარეობს თსსუ-ის დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. ახალგაზრდა მეცნიერებისთვის შეიქმნა სალექციო და სამეცნიერო-კვლევითი სივრცეები.

ინსტიტუტმა არაერთხელ უმასპინძლა საჯარო სკოლების მოსწავლეებს, როგორც უნივერსიტეტის პოტენციურ სტუდენტებს, მისი ძირითადი საქმიანობების, შემუშავებული პროდუქტების და სამომავლო გეგმების გასაცნობად.

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ცდილობს აქტიურად გამოიყენოს საკუთარი სამეცნიერო პოტენციალი და მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რათა წარმატებით განახორციელოს ფუნდამენტური, გამოყენებითი და დარგის განვითარებაზე ორიენტირებული კვლევები, მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის და კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მომავალში მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტიანი, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი
თბილისი: სარაჯიშვილის ქუჩა № 36. ტ. +99532 2521904 +99532 2520023
ikip@tsmu.edu

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი



ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სამეცნიერო ორგანიზაციაა, რომელიც წარმოადგენს ბიოსამედიცინო კვლევების უმნიშვნელოვანეს ცენტრს ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში. ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია დაავადებათა მოლეკულური მექანიზმების გაშიფვრა და ამ ცოდნაზე დაფუძნებული ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების შექმნაა. კვლევები, რომელიც მიმდინარეობს ინსტიტუტში, მოიცავს მოლეკულურ, უჯრედულ, კლინიკურ და სხვა სამეცნიერო მიმართულებებს. აქ შესაძლებელია სხვადასხვა მოდელზე, მათ შორის, ცხოველებზე, ემბრიონებზე, უჯრედულ და ორგანულ კულტურებზე, ჩატარდეს ბიოსამედიცინო ექსპერიმენტები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ინსტიტუტის დამაარსებლის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით, ადამიანის ექსტრაემბრიონული ქსოვილებიდან შემუშავდა სამედიცინო პრეპარატ ,,პლაფერონის“ მიღების ტექნოლოგია. 2005 წელს პრეპარატი დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო 2009-2010 წლებში, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჯილდო წარმატებული სამეცნიერო საქმიანობისათვის. ინსტიტუტში შესრულებული კვლევები ქვეყნდება საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებში. ინსტიტუტის პარტნიორები არიან მნიშვნელოვანი ბიოსამედიცინო ცენტრები და ბიოტექნოლოგიური კომპანიები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობს კვლევების ფართო სპექტრი. ამ კვლევების ძირითადი მიმართულებებია:

- ბიომარკერების გამოვლენა მოლეკულური დიაგნოსტიკისათვის რევმატოიდული ართრიტისა და სხვა დაავადებების დროს;
- ბიომარკერებისა და გენეტიკური მუტაციების ინტეგრირებული შესწავლა კოლორექტული კიბოს დამიზნებითი თერაპიის შესამუშავებლად;
- იმუნურ პასუხებთან ასოცირებული გენეტიკური და ეპიგენეტიკური მოდიფიკატორების შესწავლა კისტური ფიბროზის დროს;
- კიბოს, დიაბეტის და სხვა ქრონიკული დაავადებების რისკ-ფაქტორების შემცირება მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით და გამდიდრებული ფუნქციური კვების პროდუქტების შექმნა;
- გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის შესწავლა;
- ურთიერთკავშირი მარილმგრძნობიარე ესენციურ ჰიპერტენზიასა და მეტაბოლურ სინდრომს შორის;
- შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული გართულებების შესწავლა ექსპერიმენტულ მოდელში.

ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალგაზრდა სპეციალისტების ტრენინგს. ინსტიტუტში აღზრდილი პროფესიონალები მოღვაწეობენ ამერიკის, გერმანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების წამყვან ლაბორატორიებში. აქ მიმდინარე სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სტუდენტები, ისე დოქტორანტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი: ბელიაშვილის ქუჩა №76 ტ +99532 2540725
imb@tsmu.edu











# გაიცანი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას გლობალური მასშტაბით.



სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს განვითარების ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ინგლისურ ენაზე განათლებას იღებენ: 1996 წლიდან - მედიცინის ფაკულტეტზე; 2008 წლიდან - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე; 2013 წლიდან - ფარმაციის ფაკულტეტზე; 2017 წლიდან - სტომატოლოგიის ფაკულტეტზე; 2012 წლიდან მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე უცხოეთის მოქალაქეებისთვის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამები ამოქმედდა.

2018 წელს თსსუ-ში გაიხსნა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელსაც 2019 წელს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი პროგრამები შეუერთდა, რის გამოც მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი გახდა.

ამჟამად თსსუ-ში 3500-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 84 ქვეყნიდან, მათ შორის: ინდოეთიდან, შრი-ლანკადან, თურქეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ავსტრალიიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMan) ერთად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა ორმაგი დიპლომი - ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს აფართოებს და მიმზიდველს ხდის.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის - AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

ამჟამად თსსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON და სხვა).

ზემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიებში. თსსუ-ის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ- ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვა) ეძლევათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში, 2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორების 600-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში, პროფესორებმა წაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში, ჩაატარეს კონსულტაციები და საქველმოქმედო ოპერაციები თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

საინტერესო და დინამიკური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესურა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტუქტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

## პარტნიორი უნივერსიტეტები

### ავსტრია
- ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ინსბრუკის უნივერსიტეტი
- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW)

### აზერბაიჯანი
- აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი

### აშშ
- ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა
- ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
- სკრენტონის უნივერსიტეტი

### ბელგია
- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
- ლიეჟის უნივერსიტეტი

### ბელორუსი
- ბელორუსიის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების აკადემია
- ბელორუსის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვიტებსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### ბულგარეთი
- სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვარნის სამედიცინო უნივერსიტეტი
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი

### გერმანია
- იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
- ოლდენბურგის კარდიოქირურგიული კლინიკა
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი
- მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერისტეტი
- დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკა
- ჰანოვერის სამედიცინო სკოლა
- მიუნხენის ტექნიკური უნივერისტეტი
- ფრესენიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი

### თურქეთი
- ბოლუს აბანტ იზეთ ბაისალის უნივერსიტეტი
- აღრი იბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტი
- ათათურქის უნივერსიტეტი
- ეგეოსის უნივერსიტეტი
- ერზინჯანის უნივერსიტეტი
- ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- ონდოკუზ მაის უნივერსიტეტი
- რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი
- არდაღანის უნივერსიტეტი
- ბეიკენტის უნივერსიტეტი
- ჯანდაცვის მეცნიერებების უნივერსიტეტი

### თურქმენეთი
- მურატ გარიევის სახელობის თურქმენეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### ინდოეთი
- კიიტის უნივერსიტეტი

### ისრაელი
- ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტი
- არიელის უნივერსიტეტი

### იტალია
- კამპანიის უნივერსიტეტი „ლუიჯი ვანვიტელი“, ნეაპოლი
- რომის უნივერსიტეტი „ტორ ვერგატა”
- გენუის უნივერსიტეტი
- სალერნოს უნივერსიტეტი
- პადუას უნივერსიტეტი
- პიზის უნივერსიტეტი

### კანადა
- კვებეკის უნივერსიტეტი

### ლატვია
- რიგის სტრადინის უნივერსიტეტი
- დაუგავპილსის სამედიცინო კოლეჯი

### მაროკო
- კასაბლანკას ჰასან II უნივერსიტეტი

### მოლდოვა
- ნიკოლაე ტესტემიტანუს მედიცინისა და ფარმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნიდერლანდები
- როტერდამის ბებიაქალთა აკადემია

### ნორვეგია
- ბერგენის უნივერსიტეტი

### პოლონეთი
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტი
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი
- სილეზიის უნივერსიტეტი კატოვიცეში
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- იაგელონიის უნივერსიტეტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ჟეზოვი)
- ბილიასტოკის სამედიცინო უნივერსიტეტი

### პორტუგალია
- კოიმბრის უნივერსიტეტი

### რუმინეთი
- ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი
- მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი ,,კაროლ დავილა”
- გალათის დანუბიუსის უნივერსიტეტი
- სიბიუს ლუჩიან ბლაგას უნივერსიტეტი
- ჯორჯ ემილ პალადის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ტირგუ მურეში)
- „პროფ. იონ ჩირიკუტა“ კლუჟ-ნაპოკას ონკოლოგიის ინსტიტუტი

### სომხეთი
- ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### საფრანგეთი
- მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი
- გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი
- პარიზის ვალ დე-მარნის უნივერსიტეტი
- მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია

### სლოვაკეთი
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტი ნიტრაში

### ჩეხეთის რესპუბლიკა
- ოსტრავას უნივერსიტეტი

### ტაჯიკეთი
- ავიცენას სახელობის ტაჯიკეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ხალტონის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### უკრაინა
- ბოგომოლეცის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი
- ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ტერნოპილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ხარკოვის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემია
- ზაპოროჟიეს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი
- უკრაინის სამედიცინო და სტომატოლოგიური აკადემია
- დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია
- პოლტავას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ლუგანსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### უზბეკეთი
- სამარყანდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### უნგრეთი
- ზემელვეისის უნივერსიტეტი
- სზეგედის უნივერსიტეტი

### ყაზახეთი
- ალმათის სამედიცინო განათლების სახელმწიფო ინსტიტუტი
- დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### შრი-ლანკა
კოლომბოს უნივერსიტეტი

## ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტმობილობის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ახორციელებს ორმხრივ გაცვლებს შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებთან:

### ავსტრია
- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW)

### ბელგია
- ლიეჟის უნივერსიტეტი

### ბულგარეთი
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი
- სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტი

### გერმანია
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი
- მაგდებურგის ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტი
- ბონის უნივერსიტეტი

### დიდი ბრიტანეთი
- მიდლსექსის უნივერსიტეტი
- ჩესტერის უნივერსიტეტი
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი
- კილის უნივერსიტეტი

### ესპანეთი
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი

### ესტონეთი
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი
- ტარტუს უნივერსიტეტი

### თურქეთი
- ჯუმჰურიეთის უნივერსიტეტი
- დიჯლეს უნივერსიტეტი
- იზმირის ტინაზტეპეს უნივერსიტეტი
- ათათურქის უნივერსიტეტი

### იტალია
- პიზის უნივერსიტეტი
- სასარის უნივერსიტეტი
- პავიის უნივერსიტეტი
- პერუჯის უნივერსიტეტი
- სალერნოს უნივერსიტეტი
- მილანის ბიკოკას უნივერსიტეტი
- კატანიას უნივერსიტეტი

### ლატვია
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი

### ლიეტუვა
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
- ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

### პოლონეთი
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი
- ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტი

### პორტუგალია
- პორტოს უნივერსიტეტი

### რუმინეთი
- ჯორჯ ემილ პალადის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ტირგუ მურეში)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი

### საბერძნეთი
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი
- დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტი

### საფრანგეთი
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი
- პარიზის ვალ-დე-მარნის უნივერსიტეტი
- იშვიათი მულტისისტემური სისხლძარღვთა დაავადებების ევროპული ქსელი

### სლოვაკეთი
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში

### უნგრეთი
- დებრეცენის უნივერსიტეტი

### ხორვატია
- ზაგრების უნივერსიტეტი
- ზადარის უნივერსიტეტი

### ჩეხეთი
- ოსტრავას უნივერსიტეტი

### ნიდერლანდები
- ერაზმუსის სახელობის როტერდამის უნივერსიტეტი

# კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი/დეპარტამენტი მომავალი მედიკოსების მიერ კლინიკური უნარების კვალიფიციურად ათვისების მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება. ის აღჭურვილია უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით.



ამ საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, განახორციელონ სიმულატორებზე და მანეკენებზე როგორც საბაზისო უნარები, ასევე, უფრო რთული და კომპლექსური უნარები, რაც მულტიდისციპლინური გადაუდებელი დახმარებისას არის საჭირო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი გამდიდრდა თანამედროვე სამედიცინო სიმულატორებით და მულაჟებით — ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო კორპორაციების პროდუქციით, როგორებიცაა: Gaumard, Nasco Life/Form, Limb and Things, Laerdal, 3B Scientific, Kyoto kagaku, Anatomage.

2012-2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი შევიდა მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმში. სასწავლო კურსის შინაარსი სრულად მოიცავს მედიცინის დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ კლინიკურ უნარებს.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტს სავალდებულო სასწავლო კურსები აქვს მედიცინის ფაკულტეტის მესამე-მეოთხე, მეშვიდე-მერვე და მეთერთმეტე-მეთორმეტე სემესტრების სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სილაბუსის ფარგლებში, რომელიც მთლიანობაში 10 ECT კრედიტს შეადგენს.

დეპარტამენტი სავალდებულო კურსებს სთავაზობს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, საექთნო და ბებიაქალის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.

დეპარტამენტს აქვს არჩევითი კურსი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

საბოლოო გამოცდა ტარდება OSCE (Objective Structured Clinical Examination – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) ფორმატში.

2017 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი სიმულაციური ცენტრების ევროპულ ცნობარშია შესული.

2018 წელს თსსუ-ის სრული ავტორიზაციის ფორმატში კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის მუშაობა საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა.

2023 წლის 7 აპრილს კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ბაზაზე დაფუძნდა სტუდენტური სიმულაციური კლუბი (SCS), რომელიც დახმარებას უწევს სტუდენტებს სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციის საფუძვლიანად ათვისებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტურ ცხოვრებაში.

2023-2024 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრს/დეპარტამენტს დაემატა სივრცე თსსუ-ის პირველი სასწავლო კორპუსის მეორე სართულზე, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესის პარალელურად, რეგულარულად ჩატარდეს OSCE (Objective Structured Clinical Examination – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა).

2023 წლიდან დეპარტამენტმა, საქართველოს და ევროპის სხვა უნივერსიტეტებთან ერთად, პროექტის – *„LIFESTRAND“* – განხორციელება დაიწყო. ეს უკვე ERASMUS+-ის პროგრამის მეორე პროექტია, რომელშიც აქტიურად არის ჩართული დეპარტამენტი.

წინა პროექტის – „SAFEMED“ – ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო პოსტერები, თსსუ-სთვის შეძენილი იყო სხვადასხვა მანეკენები და სიმულატორები, ჩატარდა კონფერენციები, ტრენინგები, დაიბეჭდა წიგნი – „OSCE და კლინიკური ხაზის როლი მედიკოს სტუდენტთა კლინიკური კომპეტენციების განვითარებაში“, სადაც ოთხი კლინიკური ამოცანა მომზადდა დეპარტამენტის მიერ.

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში და დიპლომისშემდგომ განათლებაში, მათ შორის, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) მიერ ჩატარებულ სასწავლო ტრენინგებში და ყოველწლიურ კონფერენციებში.

# სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსის განხორციელება და სამეცნიერო კონფერენციების, ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მხარდაჭერა და დახმარება.

ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტებში განავითაროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული უახლესი ინფორმაციის და ცოდნის გამოყენების უნარები; სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების, პრეზენტირების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადების, ჩატარების და კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების უნარები, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია უმაღლეს სამედიცინო განათლებაში.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა: მეთოდური რეკომენდაციები — „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“ (2014 წ.); ორიგინალური სახელმძღვანელოს — „მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევების“ ოთხი გამოცემა (2016, 2018, 2020, 2022 წწ).

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების და საერთაშორისო სამედიცინო განათლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სამეცნიერო კვლევის საფუძვლების სწავლებას დაემატა პრაქტიკული საბაზისო ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული უნარების სწავლების საკვანძო საკითხები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მომავალი ექიმების მეცნიერებით დაინტერესებას და მათ პროფესიულ განვითარებას. 2024 წლის გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტები უკვე შეუდგებიან ახალი ელექტიური საგნის — „ლაბორატორიულ ცხოველებზე ექსპერიმენტული კვლევის ჩატარების პრინციპები“ – სწავლებას, რისთვისაც შეიქმნა მეთოდური რეკომენდაციები — „ლაბორატორიაში მუშაობის და ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის საკვანძო საკითხები“. აღნიშნული საგანი და მეთოდური რეკომენდაციები ითვალისწინებს ლაბორატორიული მუშაობის და ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების შესწავლას, რაც დაეხმარება და მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება სტუდენტებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, დოქტორანტების და ბიოსამედიცინო კვლევებით დაინტერესებული პროფესიონალებისთვის.



სამედიცინო სფეროს პროგრესი ეფუძნება უწყვეტი განათლების პრინციპს, რაც, კლინიკური უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად, ინტენსიური სამეცნიერო საქმიანობის საჭიროებას გულისხმობს. სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, ნებისმიერი სახის სამეცნიერო შეხვედრებში ჩართვა ეფექტიანი იქნება როგორც თსსუ-ის სტუდენტების ინდივიდუალური კარიერული ზრდის თვალსაზრისით, ასევე, მთლიანად, უნივერსიტეტის ეროვნული თუ საერთაშორისო პრესტიჟის განვითარების მიმართულებით.

გაიცანი

# ინფრასტრუქტურული პროექტები



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

გამაგრდა, გარემონტდა და აღიჭურვა მეორე სასწავლო კორპუსი, ფუნქციობა დაიწყო „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმმა“;

პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბიულზე, 550 კვ.მ. ფართობზე, მოეწყო თანამედროვე კაფეტერია;

დასრულდა პირველი სასწავლო კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულის თავზე მოეწყო სივრცე, სადაც განთავსდა კაფეტერია, ახალი – საბჭოებისა და საკონფერენციო დარბაზები;

კვლევითი, სასწავლო და საწარმოო მიზნებისთვის, სართიჭალასა და თელეთში, დედაქალაქიდან 35 კილომეტრის რადიუსში, ორ ლოკაციაზე, თსსუ-მა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები, აღებულია პირველი მოსავალი და, შესაბამისად, ამ ნედლეულით, იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე წარმოებული პროდუქცია გავა ფარმაცევტულ ბაზარზე;

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე აიგო და აღიჭურვა ახალი კორპუსი, მოეწყო ავტოსადგომები, დასრულდა სასაწყობე მეურნეობის მშენებლობა;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში მწყობრში ჩადგა მეორე კორპუსი;

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პროექტების გათვალისწინებით, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის საწოლფონდი 22%-ით, ხოლო თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის საწოლფონდი 26%-ით გაიზარდა.

თსსუ-ის მეხუთე სასწავლო კორპუსში, სპეციალურად მოწყობილი სივრცე აღიჭურვა ახალი აპარატურით, სადაც ფუნქცობა დაიწყო თსსუ-ის პირველმა სტომატოლოგიურმა კლინიკამ; პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო ,,ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიამ'', ხოლო თსსუ-ის მეორე სასწავლო კორპუსში გაიხსნა ,,ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის“ ფილიალი. ფართომასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს ვაშლიჯვარში, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ერთ-ერთ ყოფილ შენობაში ,,ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის“ კომპლექსის დასაფუძნებლოად.

შეძენილია არაპირდაპირი 40%-იანი წილი შპს „გნ კო“-ში, რომელიც იყო შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის“ 100 %-იანი წილის მესაკუთრე, შესაბამისად, თსსუ არაპირდაპირ ფლობს 40 %-იან წილს კლინიკაში.

შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკამ“ შეიძინა შპს „რეაბილიტაციის ცენტრის“ 100 %-იანი წილი.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულად იზიარებს დედაქალაქის გამწვანების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით არსებულ პასუხისმგებლობას. ავტოსადგომებით, რეკრეაციული ზონებით და გამწვანებით კეთილმოეწყო თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიები (დაახლოებით, 12000 კვ.მ. ფართობი), ასევე, სასწავლო კორპუსების წინ მოეწყო „რექტორთა ხეივანი“.

გარემონტდა „თეატრალური დარბაზი“ (განახლდა მოძრავი სცენა, განათების სისტემა); მოეწყო მცირე თეატრალური დარბაზი/სცენა.

ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა თსსუ-ის კვლევით ინსტიტუტებშიც. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს და თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალში. კვლევით ინსტიტუტებში წარმატებით მიმდინარეობს თსსუ-ის დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და გრანტების სახით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა განხორციელებაც უკვე დაიწო: ზ. ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) ქუჩაზე დაწყებული ახალი, მრავალფუნქციური ნაგებობის (დაახლოებით, 12000 კვ.მ. ფართობის) მშენებლობის პროცესი. აღნიშნულ შენობაში განთავსდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფუნქციობისათვის აუცილებელი სივრცეები: ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, აფთიაქი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის სასწავლო და საგამოცდო ცენტრ - OSCE- ის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის) 2 საგამოცდო სივრცე, თითოეული – 20 სადგურზე მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისთვის; საგამოცდო ცენტრი და სივრცე აკადემიური საქმიანობისათვის;



ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის მოწყობის მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება; მიმდინარეობს კლინიკის მშენებლობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით, გაფორმებულია ხელშეკრულება და დაწყებულია სამშენებლო პროცესი.

აღნიშნული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის.

გაიცანი

# თსსუ-ის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი



მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი) 1963 წელს, მედიცინის ისტორიის მკვლევრის, პროფესორ მიხეილ შენგელიას, მიერ დაარსდა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 2018 წლიდან, განახლებული სახით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს.

მუზეუმის კოლექციაში 19 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება, მათ შორის – სამედიცინო ხელნაწერები, არქეოლოგიური არტეფაქტები და ანთროპოლოგიური მასალები, ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალები, სამედიცინო ხელსაწყოები, ფოტომასალა, ფილმები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა.

ფონდში დაცულია ცნობილი ქართველი მედიკოსების პირადი არქივები და რარიტეტული სამედიცინო ლიტერატურა.

ექსპონატების დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგადაა მოპოვებული.

მასალა შესწავლილი და დამუშავებულია მეცნიერული თვალსაზრისით, მოწოდებულია მათი თანამედროვე მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობები.

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი კავკასიის რეგიონში ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმია, რომელიც ახალგაზრდებისთვის ცოდნის ამაღლებისა და განვითარების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

გაიცანი

# კულტურის ცენტრი











თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრი მდიდარი კულტურული ცხოვრებით და განსაკუთრებული მიღწევებითაა გამორჩეული – კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი ,,ქართული ფოლკლორი", დრამატული თეატრი ,,ჰიგია", თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი ,,ვეგა", ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლი ,,დეკა", ვოკალური ანსამბლი, კლასიკური მუსიკისა და საერთაშორისო სტუდენტთა ჯგუფები საუკეთესო ასპარეზია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისთვის.

შთამბეჭდავია სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებულ ანსამბლ ,,ქართული ფოლკლორის" თითქმის 40-წლიანი ისტორია და მიღწევები (ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, იტალიის კულტურის პრემიისა და ორდენ „ამაგდარის" მფლობელი, ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი – ანსამბლ „სუხიშვილების" (დღეს – „ქართული ნაციონალური ბალეტი") ყოფილი მსახიობ-მოცეკვავე, ლეგენდარული თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღირსების ორდენის კავალერი – დავით უგრეხელიძე, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატები: ქორეოგრაფი ინეზა კუპრეიშვილი და ლოტბარი დავით რატიანი). ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების და ფესტივალების 7 მთავარი პრიზის მოპოვება და ლაურეატობა, 3 ოქროს მედალი, ევროპარლამენტის დიპლომი, საპატიო – „სახალხო ანსამბლის" წოდება (1994 წელი), „საუკეთესო სტუდენტური ანსამბლის წოდება" (იტალია – 1996 წელი, თბილისი – 2014, 2019, 2022 და 2023 წლები), საქართველოს სატელევიზიო კონკურსებში გამარჯვებული (2010 წ.), წარმატებული საგასტროლო მოგზაურობები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2021 წლის 15 დეკემბერს კი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის კოლეგიამ ანსამბლს „დამსახურებული ანსამბლის", საპატიო წოდება მიანიჭა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დრამატულ თეატრ ,,ჰიგიას" ოცწლიანი ტრიუმფალური სვლა: 20 პრემიერა, უდიდესი წარმატებები ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებზე, წარმატებული გასტროლები თურქეთში, შვედეთში, აზერბაიჯანსა და მონაკოში. თეატრის რეჟისორის, თსსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ნათია გუჯაბიძის, ინიციატივით დაარსებულ მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალ „ნიღაბზე", წელსაც, „ჰიგიამ" არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვა. ამ რამდენიმე წლის წინ თსსუ-ის თეატრს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საპატიო – „სახალხო თეატრის" – წოდება მიანიჭა. თეატრმა 20 წლის იუბილე რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ცნობილი ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ლიტერატურული შედევრის – „პატარა უფლისწულის" – მიხედვით შექმნილი სპექტაკლის წარდგენით აღნიშნა, რამაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

უნივერსიტეტის ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა" (ხელმძღვანელი, ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული – ია კვირიკაშვილი), რომელიც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

სტუდენტებში პოპულარულია თსსუ-ის საერთაშორისო სტუდენტთა ცეკვის ჯგუფები (კოორდინატორი – მარიამ მაჭავარიანი), რომელთა გამოსვლა უნივერსიტეტის „თეატრალურ დარბაზში" ყოველთვის ანშლაგით მიმდინარეობს.

მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს კლასიკური მუსიკის ჯგუფის (ხელმძღვანელი – გოდერძი ჩიტაიშვილი) და ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლ ,,დეკას" (ხელმძღვანელი – დავით რატიანი, ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი – გელა ტაბაშიძე) კონცერტები და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აღსანიშნავია, ასევე, კულტურის ცენტრის დირექტორის, ბატონი ბადრი მაჭავარიანის ინიციატივით, ამ რამდენიმე წლის წინ დაარსებული ვოკალური ანსამბლის (ხელმძღვანელი – მარიამ არველაძე) წარმატებული საკონცერტო გამოსვლები.







თსსუ-ის კულტურის ცენტრი კვლავაც აგრძელებს ნიჭიერ სტუდენტთა ძიებას და შემოქმედებით საქმიანობას როგორც საქართველოში, ისე – უცხოეთში. თსსუ-ის რექტორის, კანცლერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის და „სამედიცინო გაზეთის" მხარდაჭერა კი მომავალი წარმატებების საწინდარია.

გაიცანი

# სპორტის ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრი, ტრადიციულად, განსაკუთრებული სპორტული მიღწევებით გამოირჩევა. ცენტრში თსსუ-ის სტუდენტებისთვის ფუნქციობს: კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, ფრენბურთის (გოგონები/ვაჟები), მკლავჭიდის, ძალისმიერი სამჭიდის, რაგბის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის, ჭადრაკის სპორტული ჯგუფები; უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორებისა და ფიტნესის დარბაზები სტუდენტების აქტიური დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია.

თსსუ-ის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ჩემპიონატებში ჩართულნი არიან თსსუ-ის როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

2023 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თსსუ-ის სტუდენტებისთვის: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, სპორტსა და ხელოვნებაში „სტუდენტური ფესტივალი-2023"-ის გამარჯვებული გახდა; გარდა ამისა, თსსუ-ის სტუდენტები, ფესტივალის ჟიურისა და ორგანიზატორების მიერ, დასახელდნენ როგორც ყველაზე ორგანიზებული გულშემატკივრები; აღსანიშნავია, თსსუ-ის საკალათბურთო გუნდის წარმატება, რომელიც სტუდენტური ლიგის გამარჯვებული გახდა და რიგით მაღალ „ა" ლიგაში გადავიდა; სასიხარულო სიახლეა ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) ასოცირებული წევრის დროებითი სტატუსი მიენიჭა.

სამომავლოდაც, თსსუ-ის სპორტის ცენტრის ხელშეწყობით, გვჯერა, არაერთი სპორტული გამარჯვება შეემატება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებათა ნუსხას. სპორტის ცენტრში დაინტერესებული სტუდენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, რომ მათი სტუდენტური ცხოვრება კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს.











„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ზოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu